მაცნე სამტრედიის

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N20 (9200) 21 ივლისი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

გაიხსნა ჩქარმოსნული ავტომაგისტრალის 11 კილომეტრიანი მონაკვეთი

2

“სულ ბოლოს ამ სასამართლოს რიგში ერთი ტაბურეტია დგას და იქ ვზივარ მე”

5

“ყველა ქარი მასწავლებელი არლვევს ერთნელ სასწავლო გეგმას”

4

საკრებულომ რიგგარეშე სხდომა გამართა

6

გვესაუბრება საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ლეჭავა

8

7

“საბრალდებო დასკვნა” სამტრედიისგან

გაიხსნა ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 11 კილომეტრიანი მონაკვეთი

ნათია ნაცვლიშვილი

საზეიმოდ გაიხსნა 15 ივლისს ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 11 კილომეტრიანი ბაში-დაფნარის მონაკვეთი და ავტოტრანსპორტის მოძრაობა ახალ გზაზე გადაერთო. გზის აღნიშნული მონაკვეთის გახსნის შემდეგ, აღმოსავლეთ დასავლეთის მიმართულებებზე მოძრავი ავტოტრანსპორტი ქალაქ სამტრედიაში შესვლის გარეშე, გაცილებით სწრაფად და კომფორტულად შეძლებს გადაადგილებას. გარდა ამისა, ახალ გზაზე გადართვა გაზრდის ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებას, შეამცირებს გადაზიდვების ხარჯებს და ხელს შეუწყობს სატრანზიტო მიმოსვლის გაზრდას.

სამტრედიას ამ მნიშვნელოვან სიახლესთან დაკავშირებით სტუმრობდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძე და იაპონიის ელჩი საქართველოში ტოშიო კაიტანი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარები გაკეთეს მაღალი რანგის თანამდებობის პირებმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი: ბაში-დაფნარის 11 კილომეტრიანი მონაკვეთი მოიცავს ქუთაისის შემოვლითი _ სამტრედიის (24 კმ-იანი გზის) 9 კილომეტრიან და სამტრედია-გრიგოლეთის (11.5 კმ-იანი გზის) 2 კილომეტრიან (2 ზოლი) მონაკვეთებს. გზის აღნიშნული მონაკვეთი ბაშის კვანძიდან იწყება და არსებულ გზას დაფნართან უერთდება.

ქუთაისის შემოვლით სამტრედიის გზის 9 კილომეტრიან მონაკვეთზე დაიგო 2 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის გზა, აშენდა 5 ხიდი და გზაგამტარი. სამშენებლო სამუშაოები, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) დაფინანსებით კომპანია "TODINI Costruzion Generali SPA" TAKENAKA CIVIL ENGINEERINGC CONSTUCTION CO.LTD"-მა განახორციელა.

სამტრედია-გრიგოლეთის 2 კილომეტრიანი მონაკვეთი ითვალისწინებს 4 ზოლიანი ასფალტო-ბეტონის გზის მოწყობას. პროექტს ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით უკრაინული კომპანია "Road Building ALTKOM" ახორციელებს.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი:

_ ეს არის სამტრედიის შემოვლითი გზა, რომლის მეშვეობითაც მგზავრებს ექნებათ საშუალება, გვერდი აუქციონ მჭიდროდ დასახლებულ სამტრედიას, რაც საშუალებას მისცემთ კომფორტულად და რაც მთავარია, უსაფრთხოდ განვლონ გზა დასავლეთისაკენ ან პირიქით. ეს არის კიდევ ერთი ქვეპროექტი იმ დიდი პროექტისა, რასაც საქართველოს სატრანზიტო ავტომაგისტრალის განვითარება ჰქვია. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ადამიანს, ვინც აქ იშრომა, აქ არიან ჩვენი თანამემამულენი, რომელთაც იშრომეს, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კონტრაქტორ კომპანიას, საავტომობილო გზების დეპარტამენტს, რომელმაც კარგი მენეჯმენტი გაუწია ამ პროექტს, მინდა მადლობა გადავუხადო ინფრასტრუქტურის მინისტრს და მის გუნდს ამ გაწეული სამუშაოებისათვის და ჩვენს პარტნიორებს, _ იაპონიის საერთაშოროსო განვითარების სააგენტოს და ევროპის საინვესტიციო ბანკს, რომლებმაც დაფინანსეს ეს პროექტი. უნდა ითქვას, რომ საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხიანი ინფრასტრუქტურის განვითარება, ხარისხიანი სატრანზიტო გზების განვითარება, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას, მეტი სარგებელი მიიღოს გეოგრაფიული მდებარეობიდან და სატრანზიტო ფუნქციიდან გამომდინარე. ამ გზით ისარგებლებს ყველა: როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე ჩვენი პარტნიორები და მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლები, ბიზნესმენები, რაც ჩვენი ქვეყნის მცხოვრებლებს მისცემს მეტ შემოსავალს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს ამ გზის გახსნის შემდეგ სიმბოლურად გაივლიან ის ავტომობილები, რომლითაც სახელმწიფო სერვისებს, მომსახურებას აწვდის საკუთარ მოსახლეობას და ეს იმის მაჩვენებელია, ყველა ის სიკეთე რაც სახელმწიფოს მხრიდან იქნება, უფრო სწრაფად მივა საქართველოს თითოეულ მოქალაქემდე.

გიორგი სეთურიძე. საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე:

_ ეს არის სამტრედიის შემოვლითი გზა, პირობითად რომ ვთქვათ, 11 კილომეტრია მთლიანად დაფნარის გზამდე, ესაა პირველი გზა, რომელიც აშენდა ბრიტანული სტანდარტით, ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სტანდარტი. ჩვენმა კონტრაქტორმა კომპანიამ გამოიყენა ეს სტანდარტი, რასაც ჩვენ მივესალმებით, შეღავათი საგრძნობი იქნება. დასახლებულ პუნქტში არის ძალიან დიდი მოძრაობა და ამჯერად ავტოტრანსპორტს აღარ მოუწევს იქ გავლა. საგზაო დეპარტამენტი უკვე მუშაობს იმისთვის რომ საქართველოში დაინერგოს ევროპული სტანდარტი. რაც შეეხება მომავალ პროექტებს: 50 კილომეტრიანი გზის მონაკვეთის მშენებლობა მიმდინარეობს გრიგოლეთამდე, ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა მიმდინარეობს, აგვისტოს შუა რიცხვებში ვაცხადებთ ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობას, დაწყებულია უკვე სატენდერო პროცედურები 18 პროექტზე მთლიანად საქართველოს მასშტაბით. ასე რომ, ძალიან აქტიურად ვმუშაობთ.

ჯანიო ყაფლანიშვილი, კომპანია "ბორან მაინინგის" წარმომადგენელი:

"ამ 24 კილომეტრიანი გზით მთლიანად შევასრულეთ ხელოვნური ნაგებობების და მისი სამუშაოები. აღნიშნული გზა საქართველოში აშენდა ბრიტანული სტანდარტით, ანუ დაშვებები მინიმალურია და გზა არის აშენებული ჰაივეის პრინციპით, როცა მეორე გზაც გაიშვება, მოძრაობა შესაძლებელი იქნება 140 კილომეტრით".

ვალერი ფოცხვერია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

"ჩვენთვის სასიხარულო ისაა, რომ ეს მონაკვეთი სამტრედიას, ქალაქს განტვირთავს დიდი ავტომობილებისაგან და ხელს შეუწყობს ქალაქის სხვა მიმართულებით განვითარებას. რაც შეეხება ამ მონაკვეთს, ამას ემსახურებიან "ტოდინი" და უკრაინული "ალტკომი", რომელთაც ერთობლივად შეასრულეს სამუშაოები, აქედან უკვე სამტრედიიდან დაიწყება ახალი მარშრუტით მოძრაობა ბათუმის მიმართულებით.

სასაცილოა!

საჭირალი რომ არ იყოს.

ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ იულიუს კეისარი და ალექსანდრე მაკედონელი სახით იცნობდნენ თავიანთ ჯარისკაცებს და ყველას სახელი იცოდნენ.

იგივე უნარით ყოფილა დაჯილდოვებული სპარსეთის შაჰი _ კიროსი.

და მაინც, რა გვეჩვენა სასაცილოდ თუ საჭირლად, რამ გაგვაოცა?

იმან, რომ ამ დღეებში რედაქციაში შევხვდი ადამიანს, რომელსაც მისი ზუსტი ტიტული ვკითხე და ვერ მიპასუხა მანამ, ვიდრე სამსახურში არ დარეკა და პასუხი არ მიიღო!

ხომ გაოცდით?!

ლევან გაბეჩავა

სამტრედიის ამაგდარი ადამიანები

მიხეილ ნიკოლოზის ძე რუხაძე 60-იან წლების სამტრედიის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდათ. ექიმ-რენტგენოლოგი 1970 წლიდან მუშაობდა სამტრედიის რაიონის პოლიკლინიკის მთავარ ექიმად. მან თავის დროზე ორგანიზება გაუკეთა სამტრედიის პოლიკლინიკისათვის აკადემიკოს იუსტინე ჯანელიძის სახელის მინიჭებას. მოგვიანებით ბატონმა მიხეილმა იმასაც მიაღწია, რომ მშობლიურ ქალაქ სამტრედიაში ძეგლი დაუდგეს შესანიშნავ მამულიშვილს. (ძეგლის ავტორები: მოქანდაკე ოთარ ჯოჯუა და არქიტექტორი ო. მაჭავარიანი). ამას წინათ, მე და ჩემი მეგობარი ერთ ფაქტს შევესწარით. ქალაქის პოლიკლინიკის ეზოში ძეგლთან ახლოს ორი ახალგაზრდა ერთმანეთს ხმამაღლა ეპაექრებოდა. ერთი მეორეს უმტკიცებდა, რომ ძეგლი ეკუთვნოდა ყოფილ რევოლუციონერს, ხოლო მეორე ჯიუტად უარყოფდა მის მოსაზრებას, თუმცა მისთვისაც არ იყო ცნობილი ვისი ძეგლი იყო. ჩვენ მათ განვუმარტეთ ვისი იყო ძეგლი და ისიც ვუთხარით თუ ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მივიდოდნენ, სამტრედიის ენციკლოპედიაში სრულად გაეცნობოდნენ ამაგდარი თვალსაჩინო მამულიშვილის ავტობიოგრაფიას. ახალგაზრდებმა მადლობა გადაგვიხადეს და დაგვშორდნენ.

ვფიქრობ, უპრიანი იქნება რომ ქალაქის მუნიციპალიტეტმა მცირე თანხა გამოძებნოს ძეგლს სათანადო წარწერა გაუკეთდეს და უკვდავყოს თვალსაჩინო მეცნიერის სახელი.

გია ბერეჩიკიძე, თეძერ ტორეზაძე
ძველი სამტრედიელები

უფასო პოლიტიკური რეკლამა

"ქართულ ოცნებას" გია მიქელაძე წარმოადგენს

თეა ბაბუნაშვილი

ის, რომ საარჩევნო კამპანია მმართველმა პარტიამ ქუთაისიდან დაიწყო, ქვეყნის პრემიერმა იმერეთის მთავარ ქალაქში მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენისას დააანონსა. "მეგობრობის, სიყვარულის, პოეზიისა და დავით აღმაშენებლის ქალაქი, რომელიც ყველა ქართველისთვის ერთიანი საქართველოს სიმბოლოა" _ ასე მან ქუთაისი მოიხსენია და მერე აღნიშნა: "2012 წელს "ქართულმა ოცნებამ" ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით და თქვენი მხარდაჭერით, შეუპოვარი ბრძოლით გაიმარჯვა არჩევნებში. ამ ოთხ წელიწადში ჩვენ ძალ-ღონე არ დაგვიშურებია და ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ჩვენი ხალხის მდგომარეობა ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესობისკენ შეგვეცვალა. ჩვენ მივეცით ხალხს ის, რაც ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია _ თავისუფლება! ჩვენ მოვსპეთ შიში, რომელსაც დათრგუნული ჰყავდა საზოგადოება, შევქმენით პირობები მშვიდი ცხოვრებისათვის და გავაჩინეთ სტაბილურობის განცდა. ჩვენ ვიყურებით და მივდივართ წინ. ჩვენ თავი უნდა დავაღწიოთ უმძიმეს წარსულს და არ უნდა გავხდეთ იმ სისასტიკის მძევალი, რომელიც ყველამ ერთად გადავიტანეთ."

"ჩვენი ქვეყანა იმსახურებს, რომ იყოს თავისუფლების, კეთილდღეობისა და სტაბილურობის ცენტრი რეგიონში, ხოლო ჩვენი იმერეთი ისტორიულად იმსახურებს, რომ იყოს ინდუსტრიის, დოვლათის შექმნისა და პროგრესის ცენტრი საქართველოში. ჩვენ ისე სწრაფად უნდა განვავითაროთ აქაურობა, რომ იმერეთის ქალაქები არაფრით ჩამოუვარდებოდეს დედაქალაქს. ქუთაისში, ზესტაფონსა თუ სხვა ქალაქებსა და დაბებში უნდა იყოს მუშაობისა და გართობის ყველა თანამედროვე საშუალება, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, სოციალური უზრუნველყოფა. ეს კი მხოლოდ შრომით, სწორი დაგეგმვით და თავისუფალი ნების ადამიანების ერთობით მიიღწევა." _ განაცხადა კახი კალაძემ.

ქუთაისის ერთ-ერთ უძველეს უბანში, ბალახვანის ხეივანში, რომელსაც დავით აღმაშენებლის ძეგლი დაჰყურებს, ქვეყნის პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა მუნიციპალიტეტების მიხედვით იმერეთის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები დაასახელა.

სამტრედიაში "ქართულ ოცნებას" ბიზნესმენი გია მიქელაძე წარმოადგენს. როგორც პრემიერმა აღნიშნა: "ბატონი გია პოლიტიკაში ბიზნესიდან მოდის. ის წარმატებული ბიზნესმენია. მას სამტრედიაში არაერთი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული _ დაგებული გზები, სკოლების რეაბილიტაცია. დაფინანსებული აქვს ახალგაზრდების სწავლა უცხოეთში. დარწმუნებული ვარ, როგორც პარლამენტარი, იგი ასევე ნაყოფიერად იმუშავებს. ბატონი გია სამტრედიელი გახლავთ და ყურადღებას არ მოაკლებს სამტრედიელებს."

გია მიქელაძე სამტრედიელებისთვის კარგად ნაცნობი ბიზნესმენი და პიროვნება 2016 წლის 8 ნოემბრის არჩევნებში სამტრედიელი მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება.

ლევან გაბეჩავა

საარჩევნოდ

ყველა ქართველს, ღვთით მოვლენილს,
თუ გაჩენილს დებილად,
პირველობის სიგიჟე გვჭირს _
ყველა პირველები ვართ...
შოთა ნიშნიანიძე

მზეს სიცხოველე ემატება და პოლიტიკური ტემპერატურაც მაღლა იწევს.

8 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება.

წინასაარჩევნო სამზადისია ქვეყანაში.

ერი და ბერი მოუთმენლად ელის არჩევნების შედეგებს.

უმთავრესი კი ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცედურის გამჭვირვალედ, ობიექტურად ჩატარებაა.

ამ მიზნის მისაღწევად ძალისხმევას არ იშურებენ პოზიციისა და ოპოზიციის წარმომადგენლები.

ასი თვალისა და ასი ყურის გამოჩენას გვპირდებიან არასამთავრობო ორგანიზაციები.

უკვე ცნობილია მმართველი, თუ სხვა გამოკვეთილ პარტიათა მიერ ხალხისთვის შეთავაზებული კანდიდატები.

ერთი რაც იმთავითვე თვალშისაცემია და მისასალმებელი, ისაა, რომ კანდიდატთა შერჩევისას ძირითადად დაცულია გენდერული ბალანსი, აღინიშნა, რომ მათ უმრავლესობას დასავლური განათლება აქვს.

პრინციპულად არ გვსურს საკუთარი მოსაზრება მოვახვიოთ ვინმეს თავს, მაგრამ ერთი აუცილებლად უნდა ითქვას, მხოლოდ დასავლური განათლება ვერ უშველის ქვეყანას.

ისე, როგორც თეორიაა მკვდარი პრაქტიკის გარშე, ასევეა, თუ განათლებულ თეორეტიკოსს არ ძალუძს პრაქტიკულ საქმეთა კეთება. მოვლენათა რეალურად აღქმის უნარი და ძალისხმევა ამომრჩეველთა პრობლემების მაქსიმალურად მოგვარებისათვის თითოეულ კანდიდატს მოეთხოვება.

იმედია, ვერავინ დამწამებს ძველისძველი, საყოველთაოდ ცნობილი და ერთობ გაცვეთილი ფრაზის _ ადამიანი არჩევნების წინ და ნადირობის შემდეგ ტყუისო, ავტორობას, მაგრამ, ალბათ, არც შემომედავება ვინმე, ვთქვა, რომ საოცარი ჭეშმარიტებაა ამ სიტყვებში.

ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, არანაირი ავტორიტეტული საზღვარგარეთული ორგანიზაციის კვლევა არაა საჭირო საიმისოდ, რომ გავიგოთ, ქვეყანაში გაუმჯობესდა თუ არა სოციალური ფონი.

მივიხედ-მოვიხედოთ სამეზობლოში, უბნებში, სოფლებში... რამდენი ადამიანია გადახვეწილი თვეობით, წლობით საზღვარგარეთ სამუშაოდ, საქართველოში კი ბა, მეაბრეშუმეობა, მეცხოველეობა და ა. შ. არადა, საქართველოს კლიმატური პირობები, ფლორა, ფაუნა ამ დარგების კვლავ ასაღორძინებლად ყოველნაირ პირობას ქმნის.

გიჟი უნდა იყო ან გონებაჩლუნგი, არ იამაყო ჩვენი სამხედროების ვაჟკაცობით, თავგანწირვით ერაყსა და ავღანეთში, კოსოვოში... მაგრამ რუსი ოკუპანტების მიერ მიტაცებული ტერიტორიებიც რომ გვაწუხებს, არაა დასამალი.

ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ისე რომ არაა საქმე, როგორც უნდა იყოს, კარგადაა ცნობილი.

არ უნდა შემოგვედავოს წესით ვინმე, ის რომ განვაცხადოთ, რომ დამამთავრეზე, საყოველთაოდ ცნობილი და ერთობ გაცვეთილი ფრაზის _ ადამიანი არჩევნების წინ და ნადირობის შემდეგ ტყუისო, ავტორობას, მაგრამ, ალბათ, არც შემომედავება ვინმე, ვთქვა, რომ საოცარი ჭეშმარიტებაა ამ სიტყვებში.

ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, არანაირი ავტორიტეტული საზღვარგარეთული ორგანიზაციის კვლევა არაა საჭირო საიმისოდ, რომ გავიგოთ, ქვეყანაში გაუმჯობესდა თუ არა სოციალური ფონი.

მივიხედ-მოვიხედოთ სამეზობლოში, უბნებში, სოფლებში... რამდენი ადამიანია გადახვეწილი თვეობით, წლობით საზღვარგარეთ სამუშაოდ, საქართველოში კი



ჩინებულად გრძნობენ თავს ჩინელები, არაბები, ინდოელები.

სამწუხაროა, რომ შევარდნაძიდან მოყოლებული დღემდე ვერ მოხერხდა საქართველოში სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების, სტრატეგიული მიმართულებების აღორძინება, როგორებიცაა მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობა, მეცხოველეობა და ა. შ. არადა, საქართველოს კლიმატური პირობები, ფლორა, ფაუნა ამ დარგების კვლავ ასაღორძინებლად ყოველნაირ პირობას ქმნის.

გიჟი უნდა იყო ან გონებაჩლუნგი, არ იამაყო ჩვენი სამხედროების ვაჟკაცობით, თავგანწირვით ერაყსა და ავღანეთში, კოსოვოში... მაგრამ რუსი ოკუპანტების მიერ მიტაცებული ტერიტორიებიც რომ გვაწუხებს, არაა დასამალი.

ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ისე რომ არაა საქმე, როგორც უნდა იყოს, კარგადაა ცნობილი.

არ უნდა შემოგვედავოს წესით ვინმე, ის რომ განვაცხადოთ, რომ დამამთავრებელ კლასებში თითქმის არ დადიან მოსწავლეები, სამაგიეროდ, მომძლავრდა რეპეტიტორთა ინსტიტუტი.

საკითხავია, არის საერთოდ საჭირო 12 წლიანი სწავლება?

აი, მცირეზე მცირე ნაწილი იმ საკითხებისა, 2016 წლის 8 ოქტომბერს ხალხის ნდობაგამოცხადებულმა პარლამენტმა, თავისთავად პარლამენტარებმა რომ უნდა გადაჭრან ისევ და ისევ ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ, საკეთილდღეოდ.

ის ჯარისკაცი რა ჯარისკაცია, გენერლობაზე თუ არ ოცნებობსო, უთქვამთ. კი ბატონო, არავინ გვიშლის საამო ფიქრით ტკბობას, მაგრამ როცა პრეტენზია გვაქვს ამა თუ იმ პრესტიჟულ პოზიციაზე, თანამდებობაზე, აუცილებელია, საკუთარ თავს ერთხელ მაინც ვკითხოთ: შევძლებ, გავართმევ თავს ამ მოვალეობას?

სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულებმა არაერთხელ დაგვანახა, რომ მავანნი იკავებდნენ პრესტიჟულ ადგილებს, კომფორტულად იყვნენ მოკალათებულნი თბილ სავარძლებში და ვერაფერი ვერც გაკეთეს და ვერც გააფუჭეს.

და მაინც, რა კატეგორიის ხალხით ვისურვებდით პარლამენტის დაკომპლექტებას?

განათლება, ერუდიცია, ინტელექტი, რთულ პოლიტიკურ სიტუაციებში ლავირების უნარი აუცილებელზე აუცილებელია თითოეული პარლამენტარისთვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პარლამენტართა პასუხისმგებლობა ამომრჩეველების წინაშე.

მინიმუმ, წელიწადში ერთხელ მაინც კონკრეტული პარლამენტარი ანგარიშით უნდა წარსდგეს ამომრჩეველების წინაშე. შუალედებში კი მეტი ურთიერთობები, სიახლოვე უნდა ჰქონდეს მათთან (ამომრჩეველთან).

ყოველ წუთსა და წამს პარლამენტარი მობილიზებული უნდა იყოს, საზოგადოების, მედიის წინაშე არ წამოსცდეს ისეთი რამ, რაზეც მერე მის კოლეგებს მოუწევთ თავის ტეხვა _ მასე კი არა, ისე უნდოდა თქმაო და ა. შ. სამწუხაროდ, არაერთი მსგავსი ფაქტი გვახსოვს.

ეკონომისტების, სამართალმცოდნეების, პოლიტოლოგ-კონფლიქტოლოგებისა და ექსპერტების ყოლა რომ აუცილებელია პარლამენტში და უფრო მომგებიანი იქნება სახელმწიფოსთვის, ვიდრე სპორტსმენებისა და რეჟისორებისა, არც ეს უნდა იყოს სადავო.

უდიდესი სურვილი გვაქვს, მაქსიმალური სიმშვიდით წარიმართოს წინასაარჩევნო პერიოდი საქართველოში.

მოუთმენლად ველით 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს.

ჯიუტად გვწამს ჩვენი ქვეყნის აღორძინების, ჩვენი ერის გარდაუვალი კეთილდღეობის.

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში "სამტრედიის მაცნე" იხელმძღვანელებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლისა და 2015 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ეროვნული კომისიის დადგენილების შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 2 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი. მისი ღირებულება შეადგენს 200 ლარს.

“ყველა კარგი მასწავლებელი ირლვევს ეროვნულ სასწავლო გეგმას”

ნინო ნანიტაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ალექსანდრე ჯეჯელავა დასავლეთ საქართველოში ვიზიტის ფარგლებში 17 ივლისს ქუთაისში იმყოფებოდა. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივი პედაგოგებს შეხვდა. ღონისძიებას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორის მოადგილე, იოსებ ხახალეიშვილი ესწრებოდა.

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ალექსანდრე ჯეჯელავამ პედაგოგებთან მათ პროფესიულ განვითარებაზე ისაუბრა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებელთა სასერთიფიკატო გამოცდები, სახელმძღვანელოების გრიფირება, _ ეს ის თემები იყო, რაზეც მინისტრმა ყურადღება გაამახვილა. მისი განცხადებით, მასწავლებლის საქმიანობა უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარებაში, რისთვისაც ალექსანდრე ჯეჯელავამ პედაგოგებს მადლობა გადაუხადა: “შინდა, საქართველოს მთავრობის სახელით მადლობა გადაგიხადოთ წლების განმავლობაში გაწეული სამსახურისთვის. ახალი თაობის აღზრდასა და ზოგადად, ქვეყნის განვითარების საქმეში მასწავლებლის საქმიანობა და როლი უმნიშვნელოვანესია. ხელისუფლება ვალდებულია, პედაგოგებს შრომა სათანადოდ დაუფასდეს, რისთვისაც, პირადად მე, მზად ვარ, თითოეული თქვენგანის ღირსება და პროფესიონალიზმი დავიცვა”.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა შეხვედრაზე პედაგოგებს ჰკითხა, თუ როგორ ახერხებენ ისინი ბავშვების დაინტერესებას სასწავლო პროცესში. აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები ამას გართობის, დისკუსიის და დებატის ხარჯზე ახერხებენ.

პასუხების შემდეგ მინისტრმა განაცხადა, რომ ყველა კარგი მასწავლებელი ბავშვის დაინტერესებას გაკვეთილზე სასწავლო გეგმის დარღვევით ახერხებს, რაც ჯეჯელავამ განათლების სისტემის გაუმართაობას მიაწერა: “ჩემი მიკროკვლევის შედეგად დავადგინე, რომ ყველა კარგი მასწავლებელი ბავშვის დაინტერესებას გაკვეთილზე ახერხებს იმის შედეგად, რომ არღვევს ეროვნულ სასწავლო გეგმას”.

ამ კონტექსტში მინისტრმა სკოლებში მათემატიკის საგნისთვის დათმობილ საათებზეც ისაუბრა. მისი განმარტებით, 2 საათი მათემატიკაში წილადებისთვის მცირეა და შეუძლებელია, მოსწავლემ ამ დროში რაიმე გაიგოს: “მე ყველა დარგში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ მათემატიკაში ვერკვევი კარგად, წილადებზე გვაქვს 2 საათი. ახლა მე მაქვს ასეთი მოსაზრება, რომ უნდა შევკრიბო სამინისტროს თანამშრომლები, ჩავუტარო ორსაათიანი გაკვეთილი წილადებზე. მერე გამოვცადო მათი ცოდნა და სავარაუდოდ, სამინისტროს მათი დიდი ნაწილი დატოვებს”.

ქუთაისში შეხვედრაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ასეულობით “დაკარგულ” ბავშვზე ემოციურად შეაჩერა იმერეთის მხარის პედაგოგების ყურადღება: “მოკლედ, მაგარ შარში ვართ, ხალხო. ჩვენ ვამბობთ, რომ ისეთი სასწავლო გეგმა გვაქვს, რომლითაც ვერ მივაღწევთ შედეგებს. ვერ გაიგებს ბავშვი ვერაფერს. თან ხელს რომ აიწევს და გეტყვის, ვერ გავიგეო, შენ ეტყვი _ მორჩა, ის ორი საათი გავიდა, ახლა სხვა გაკვეთილი გაქვთ. ერთი-ორ რამეს რომ ვერ გაიგებს, ჩარგავს თავს ტელეფონში, კომპიუტერში და მორჩა, დავკარგეთ ეს ბავშვი”.

ალექსანდრე ჯეჯელავამ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ის საოცარი ამბავი დააანონსა, რომლის შეტანასაც აუცილებლად შეეცდება წიგნში, თუ ოდესმე მისი გამოცემის სურვილი და შესაძლებლობა ექნება:

“ტექნიკურად ისეთი სასწავლო გეგმა გვაქვს, რომლითაც შეუძლებელია, კარგად ასწავლო. ეს საოცარი ამბავია. წიგნი რომ დავწერო ოდესმე, ამ საოცრებას შევიტან შიგნით, რომ სახელმწიფომ შექმნა ისეთი გეგმა, რომელსაც თუ დაარღვევ, კარგი მასწავლებელი იქნები, თუ შეასრულებ _ ცუდი”.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სასწავლო გეგმით დაბნეულ და გულაცრუებულ პედაგოგებსაც თავისებურად უგებს: “ვერ გავამტყუნებ ვერცერთ მასწავლებელს. ვიღაცეებმა თქვეს, რომ ჯანდაბა, კაი, ბატონო, ორი საათი? _ იყოს ორი საათი. ნული საათი? _ იყოს ნული საათი. ვიცი, რომ ვერ გაიგებს? _ კარგი, იყოს, ვერ გაიგებს. მივხვდი, რომ ამ წიგნით ვერაფერს ისწავლის? _ ნუ ისწავლის. რადგან ასეა, იყოს ასე”.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილს

რეპუტაციის საკითხს, ქრესტომათიულ უსამართლობას უწოდებს და მის შესაფასებლად გაცილებით მძიმე სახელებს ეძებს ალექსანდრე ჯეჯელავა: “მოკლედ, ეს არის რეპუტაციის საკითხთან ერთად ქრესტომათიული უსამართლობა. რა დავარქვა ამას, არ ვიცი: შეცდომა, ბოროტმოქმედება, უჭკუობა, ნებისმიერი რამე აქედან”.

დასავლეთ საქართველოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ქუთაისში 400-ზე მეტ პედაგოგს შეხვდა.

“ვცდილობთ, რომ განათლების სამინისტრო პედაგოგების მეგობარი და მხარდამჭერი გახდეს”, _ ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ ქუთაისში პედაგოგებთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, მას სურს, მსგავსი შეხვედრები რეგულარული იყოს. ალექსანდრე ჯეჯელავამ შეხვედრა ემოციურად და შინაარსობრივადაც ძალიან დადებითად შეაფასა: “მე მგონია, რომ ჩემი სამსახურის მნიშვნელოვანი ნაწილია ჩემს კოლეგებთან შეხვედრა. ემოციურად და შინაარსობრივადაც ძალიან დადებითია. რამდენიმე დღეა, შეხვედრები მქონდა მთიან აჭარაში, შემდეგ გურიის რამდენიმე ქალაქში და დღეს ქუთაისსა და საჩხერეში ვგეგმავთ შეხვედრებს. შინაარსობრივად უფრო მეტი უნდა მოვისმინო, ვიდრე ვილაპარაკო. ჩვენ ვცდილობთ, რომ სამინისტრო ამ ხალხის მეგობარი და მხარდამჭერი გახდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია, მე მესმოდეს კარგად, თუ რა აწუხებთ მასწავლებლებს, რა ცვლილებები უნდათ და ასევე ვაპირებ, რომ გავუზიარო განვითარების მიმართულებები, რაზეც ვფიქრობთ, რომ მათთვის იყოს კომფორტული და მაქსიმალურად იყვნენ ჩართულები”.

15 წლის წინ...

ცხელი ზაფხულის ერთ დღეს, საინფორმაციო საშუალებებმა ქვეყანას ჟურნალისტ გიორგი სანაიას მუხანათური მკვლელობის შემზარავი ამბავი აუწყეს.

მახსოვს სამტრედიაში, ისე როგორც ქვეყანაში როგორ დაგმეს ეს ვანდალური ფაქტი.

ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო ნიჭიერ ჟურნალისტს თავისი ქვეყნისა და მშობელი ერისათვის.

უეჭველია, იგი დიდ წვლილს შეიტანდა ეროვნული ჟურნალისტიკის კიდევ უფრო განვითარების საქმეში.

ყოველივე გუშინ იყო თითქოს...

15 წლის წინ მოჰკლეს გიორგი სანაია.

ლევან გაბეჩავა

საუკეთესო ინვესტიცია

ამბობენ, თუ კაცს აქვს საუკუნოვანი გეგმა, მაშინ მან შვილებს უნდა მისცეს განათლება. ნამდვილი განათლებისთვის ადამიანის ნიჭს სჭირდება მოვლა-პატრონობა და განვითარება. ნებისმიერი წახალისება სტიმულია მოსწავლისათვის, რომ მეტად დაიხარჯოს, შეიმეცნოს, რომ “სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების”.

ჩვენ გვინდა გიამბოთ, სწორედ ასეთი სტიმულის შესახებ, რომელიც უკვე წლებია აძლევს ბიძგს ბაშის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რომ აღიზარდონ მშობლებისთვის სანუგეშო და ქვეყნისთვის სასარგებლო შვილებად. კერძოდ, 2007 წელს ბაშის საჯარო სკოლის დირექტორმა ბატონმა ომარ გერაძემ და ამავე სოფლის მკვიდრმა ბატონმა ვიტალი ხაზარაძემ ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სკოლის წარჩინებული უფროსკლასელები წაეხალისებინათ და დაენიშნათ სტიპენდია, თვეში 50 ლარის ოდენობით. შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ეს თანხა მცირეა, მაგრამ აქ მთავარია არა ოდენობა, არამედ დაფასება სწავლისა, რომელმაც შედეგი გამოიღო _ სტიპენდიანტები: ნათია პარშიკოვა, სოფიო ორმოცაძე, მირანდა ხარაბაძე, ქრისტინე ნაცვლიშვილი, მარიამ ნაცვლიშვილი, ხატია ბეგაშვილი და სხვები. დღეს, თითოეული მათგანი თავიანთი ნიჭისა და მონდომების წყალობით სხვადასხვა სფეროში არიან დასაქმებულნი, ზოგიერთი მათგანი ჯერ ისევ სტუდენტია.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ ბატონ ვიტალი ხაზარაძეს თითოეული მოსწავლისა და მშობლის სახელით. სიკეთის კეთების სურვილი არ მოუშალოს უფალმა. ჩვენ კი გვიმრავლოს მისი მსგავსი ადამიანები, რომლებიც გააგრძელებენ ამ ტრადიციას, რადგან განათლება ეს არის საუკეთესო ინვესტიცია _ ჩადებული მომავალში.

პატივისცემით ქალბატონ ჩხეიძე, ლელა კაშაძე

“სულ შოლოს ამ საკმეების რიგში ერთი ტაბურეტკა დგას და იქ ვხიკავრ მე”

“თითქოს დიდი ხნის ნაცნობს შევხვდით და არა უცნობ მინისტრს”

ნათია ნაცვლიშვილი

მასწავლებელთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ინიციატივით ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში გაიმართა საქართველოს განათლების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას შეხვედრა საჯარო სკოლების საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მიმართულების პედაგოგებთან. ამ შეხვედრაზე, რომელსაც დაახლოებით 700 მასწავლებელი ესწრებოდა, პედაგოგებს ჰქონდათ საშუალება, ყველა მათი პრობლემა, სატკივარი გამოეთქვათ და მინისტრისაგან კითხვებზე პასუხები მიეღოთ. სამტრედიის მუნიციპალიტეტს ამ საინტერესო შეხვედრაზე 6 წარმატებული პედაგოგი წარმოადგენდა. ესენი არიან № 12 საჯარო სკოლის ბუნებისმეტყველების და ბიოლოგიის პედაგოგი გულნარა ონიანი, სამტრედიის № 1 საჯარო სკოლის ფიზიკის პედაგოგი ციური ხურცილავა (სწორედ მან გაახმოვანა მინისტრის წინაშე სამტრედიელი პედაგოგების ხედვა და პრობლემატიკა), იანეთის სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი ჟუჟუნა მჟავანაძე, მე-4 საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი დიანა შენგელია, სკოლა ცოდნიდან _ ირმა აკოფოვა და № 1 სკოლის გეოგრაფიის პედაგოგი ზოია ჯანაშია. ქალბატონი გულნარა პედაგოგიური მოღვაწეობის მრავალწლიანი სტაჟის მქონეა, ის სიამოვნებით დასთანხმდა ჩვენს შეთავაზებას, მოეთხრო განათლების ახალ მინისტრთან შეხვედრის მიზნებთან და შინაარსთან დაკავშირებით. ის რედაქციაში გვეწვია და შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

გულნარა ონიანი, მე-12 საჯარო სკოლის ბუნებისმეტყველებისა და ბიოლოგიის პედაგოგი, სერტიფიცირებულია ორივე საგანში: “`მინისტრთან შეხვედრის შესახებ ინფორმირებული ვიყავი ქალბატონ ზოია ჯანაშიასაგან, რომელიც დამიკავშირდა და მითხრა, რომ სურდა ისეთი პედაგოგები წაეყვანა, რომლებიც სერტიფიცირებულნი არიან და აქტიურებიც. სკოლაში ვმუშაობ 1988 წლიდან, ვარ ამ სკოლის კურსდამთავრებული. შეხვედრა ძალიან სასიამოვნო იყო, მინისტრთან შეხვედრაზე თითქოს შენ ჩვეულებრივი ადამიანი ხარ, მაგრამ ეს ადამიანი როგორც კი მოგვესალმა, უკვე ჩვენს შორის ყველა ბარიერი წაიშალა, თითქოს ყველა იქ მყოფის გულში ჩაიხედა. მისალმების დროს ყველას გულს მალამოდ მოედო, როცა მინისტრმა თქვა: “მინდა ბოდიში მოგიხადოთ იმის გამო, რა დღეშიც პედაგოგები ჩავარდნენ ჩემი წინამორბედების გამო და არ ვიცილებ თავიდან პასუხისმგებლობას და ვეცდები ყველა ხარვეზის გამოსწორებასო. ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ასწავლის მე-7 კლასს საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლებს, აქ ძალიან ბევრ პრობლემას ვაწყდებით. ჯერ ერთი, ცალკე შემოიღეს სამი საგნის ინტეგრირებული კურსი, რაც ძალიან დაუხვეწავია. აი ამ თემაზე ქალბატონმა ციური ხურცილავამ ძალიან კარგად ისაუბრა. ჩვენი სახელით”.

ქალბატონი გულნარა ასევე შეეხო ინკლუზიური განათლების შემოღებასთან დაკავშირებულ საჭირბოროტო საკითხებს, რომელთა შესახებ ციური ხურცილავამ მოახსენა მინისტრს. ნაწყვეტი ციური ხურცილავას გამოსვლიდან:

“ინკლუზიური განათლება აუცილებელი იყო, რომ დაინერგა. ძალიან ბევრი ბავშვისთვის ეს იყო შვება. ამას მოჰყვა სხვა რამ. გვყავს 10 ბავშვი და 2 სპეციალური პედაგოგი. ჩვენ, მასწავლებლებს ბევრი საშრომი გვაქვს: მე რომ ჩავატარო დამატებითი გაკვეთილი, უნდა გავწერო გეგმა, რა აქტივობები უნდა ჩავატარო, ჩვენ “მოსე მწერლის” პოზიციაში ვართ. საქმეს ვაკეთებთ, მაგრამ ამ წერის გამო იმის დრო არ გვრჩება, რომ ბავშვთან მეტად ვიმუშაოთ, ვარგებთ სასწავლო გეგმას, ვაკეთებთ, მაგრამ იქნება, ამ რუტინული შრომისაგან მასწავლებლები გაგვათავისუფლოთ, დეტალ-დეტალ ამდენი რომ არ ვწეროთ”.

ქალბატონი გულნარა ონიანი სასკოლო ტექნიკური ბაზის განახლებაზე საუბრობს, საკითხმა მინისტრთან შეხვედრაზეც გააჟღერა: “კი მივიღეთ ლაბორატორიები, აინშტაინის ლაბორატორიის სახელი უწოდეს, როცა ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკისათვის საჭირო ხელსაწყოები, თვალსაჩინოებები გადმოგვცეს სკოლებს, რომლებიც გაკვეთილებისათვის გამოსადეგია და კარგია, მაგრამ თუ რეაქტივები არ გვექნება, ისე ვერ ვაჩვენებთ ამას.

მინისტრმა ხელფასის ზრდაზეც ისაუბრა და სქემაში პედაგოგთა ჩართულობაზეც. აღნიშნა, რომ არ მოსწონს ეს სქემა. ის დაგვპირდა, რომ აუცილებლად დაიხვეწება იგი. ახლა სქემაში ჩაერთვნენ როგორც სერტიფიცირებული, ისე არასერტიფიცირებული პედაგოგები, არ შეიძლება 66 000 პედაგოგი ერთი სახომით გაიზომოს, შეიძლება პედაგოგი იყოს თავისი საქმის ძალიან კარგი მცოდნე, მაგრამ არ იყოს კარგი როგორც დამრიგებელი, შეიძლება ის ბავშვის სულს ჩასწვდეს, მაგრამ ვერ იყოს საგანში ისე ძლიერი, მაგრამ რატომ არ უნდა იყოს ის მიჩნეული კარგ პედაგოგად? აი ამიტომ არის საჭირო ამ სქემის დახვეწა, მრავალმხრივ უნდა იქნეს დანახული პედაგოგის საქმიანობა.

მარტო იმის იმედად ყოფნა არ გვინდა, რომ ცენტრალიზირებულად მოხდება ყველაფრის დაფინანსება. უნდა განვახორციელოთ სხვადასხვა პროექტები, ალტერნატიული გზები მოვიძიოთ. ყველა აქტიური პედაგოგი მიიღებს დაფინანსებას და თავის საგანს მოახმარს. ისაუბრა სკოლებში სხვადასხვა წრეების არსებობის აუცილებლობაზე, მინისტრმა აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები დღესდღეობით მეტად აქტუალურია, ამიტომ მეტი დაინტერესება უნდა იყოს. განსაკუთრებით იმის შემდეგ გვაქვს მძიმე მდგომარეობა, რაც ტრიმესტრული სწავლება შემოიღეს ამ საგნებში, მაგრამ ნელნელა, თანდათან ბავშვებს უბრუნდებათ ამ საგნებისადმი ინტერესი. მინისტრმა ისაუბრა იმაზეც, რომ არ შემოიფარგლება ასეთი შეხვედრებით მხოლოდ, მოგვეცა ნება, ფეისბუქ გვერდზე, თუ ელექტრონული ფოსტით შევეხმიანოთ, არც ერთი თქვენი მესიჯი უპასუხოდ არ დარჩებაო, დაგვპირდა. ხომ იცით, პედაგოგს ძალიან ცოტა უხარია”.

ქალბატონ გულნარას განსაკუთრებულად მოეწონა საგანმანათლებლო სისტემის მინისტრისეული დეფინიცია: “სათავეში, პირველ ადგილზე არის ბავშვი, ოქროს ტახტი ეკუთვნის მოსწავლეს, მის გვერდზე ძალიან მნიშვნელოვანი სავარძელი არის მასწავლებლის და შემდეგ მოყვებიან დანარჩენი ფუნქციონერები. ეს იქნება სკოლის დირექტორი, გამგე, რესურსცენტრი თუ სამინისტრო. სულ ბოლოს, ამ საკმების რიგში ერთი ტაბურეტკა დგას და იქ ვხიკავრ მე, ანუ ფეხზე ვდგავარ, რადგან ბევრი საქმე მაქვს და წესით, დაჯდომის დრო არ უნდა მქონდეს”.

გულნარა ონიანი ამბობს, რომ ისეთი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა სახლში, თითქოს მინისტრთან პირველად კი არ იმყოფებოდა შეხვედრაზე, არამედ დიდი ხნის ნაცნობთან. ქალბატონი გულნარა ასევე მადლობას უხდის პედაგოგთა პროფკავშირებს, მის ხელმძღვანელს ჩვენს მუნიციპალიტეტში ზოია ჯანაშიას შეხვედრის მაღალ დონეზე ორგანიზების გამო.

“მინისტრი ხელფასის თემასაც შეეხო. სამომავლოდ ვეცდები ხელფასების ეტაპობრივად ზრდასო, დაგვპირდა ის.

სკოლაში ვერ იმუშავებ, თუ ბავშვი არ გიყვარს, მაქვს მეორე სპეციალობაც, წლების განმავლობაში ექიმ-ლაბორანტად ვიმუშავე, ერთმა ჩემმა კოლეგამ, მიშა სულაქველიძემ მითხრა, სკოლიდან რომ წახვალ და ბავშვი რომ შეგხვდება და მის თვალებში სითბოს დაინახავ, შენ აუცილებლად მობრუნდებიო, იმ დროს ამთავრებდნენ ბავშვები გაკვეთილებს, მე რომ სამსახურიდან ვბრუნდებოდი, მართლაც, მერე არჩევანის წინაშე რომ დავდექი, სკოლა ვამჯობინე. არაჩვეულებრივი თაობა მოდის, მაქსიმუმი უნდა გაკეთო მისთვის, თავდადება დაანახო, მერე, ეს თუ დაანახე, სიკეთეს, გაწეულ ამაგს არ დაგიკარგავს. შრომის შედეგს პედაგოგი ღებულობს წლების შემდეგ”._ ასე მიიჩნევს ქალბატონი გულნარა, რომელიც სკოლის მრავალწლიანი ტრადიციებით ამაყობს და სკოლაში სერტიფიცირებულ პედაგოგთა სიმრავლითაც. მე-12 საჯარო სკოლაში დღესდღეობით 17 სერტიფიცირებული პედაგოგია. “სკოლა ჩვენთვის მარტო სამსახური არ არის, ეს ჩვენი სიამაყის საფუძველიცაა, რადგან ამ სკოლაში ძირითადად მისი კურსდამთავრებულები ვართ, რაც ჩვენ პასუხისმგებლობას გვიაოთკეცებს, უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დავამთავრე და ამ სკოლაში მოვედი, აქ ვარ და ვაგრძელებ მუშაობას”. _ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი.

წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია...

1987 წელს, მისი დაბადებიდან 150-ე წლისთავთან დაკავშირებით შერაცხა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად, თუმცა, გაცილებით ადრე, მისსავე სიცოცხლეში დაიმსახურა ხალხის სიყვარული და პატივისცემა.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ფხიზლად იდგა ქვეყნის სადარაჯოზე და ქართლის ჭირი უჩნდა საკუთრად.

მწერალი, პუბლიცისტი...

ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე...

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მამამთავარი...

ყოველი ახალი ინიციატივის სულისჩამდგმელი, განმვრცობი...

მშობელი ქვეყნის, ქართველი ერის სამსახური დაუსახა მიზნად ილია ჭავჭავაძემ საკუთარ თავს და ამ ნათელ მიზანს ემსახურა მთელი ცხოვრება.

აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, მისი დროის სხვა გამოჩენილ მოღვაწესთან ერთად ილია ჭავჭავაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მისი დროის საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის ყველა მხარეში.

არ იყო ადვილი ბურუსით მოცულ უიმედო საქართველოში საკუთარ თავზე აეღო მედროშეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, სწორი გზით წარემართა იგი და ნათელი მიზნისათვის მიეღწია.

ლახვარივით ესობოდა გულში სამშობლოს მტერსა და ორგულს ილიას ბასრი კალმით თქმული.

ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა მისი ლიტერატურული მონაგარის თითოეული მარგალიტი, დროის დინებასთან ერთად ახლებურ დატვირთვას, მეტ მნიშვნელობას რომ იძენს.

ეამაყებოდა საქართველოს გმირული წარსული.

გულს უთუთქავდა ქვეყნის უიმედო აწმყო.

იღვწოდა, იბრძოდა, სხვებს მოუწოდებდა უკეთესი ხვალის, ნათელი მომავლისათვის.

სამშობლოს სიყვარული და ერთგულება არ აპატიეს სწორედ.

1907 წლის აგვისტო.

წიწამურთან საბედისწერო გასროლის ხმა გაისმა, ექომ თითქოს სრულიად საქართველოს გადაუარა.

ერთი კაცისთვის კი არა, სრულიად საქართველოსათვის საბედისწერო აღმოჩნდა ეს გასროლა.

დიახ, “წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი”.

წმინდანთა დასში დავანებული სული ილია ჭავჭავაძისა, ილია მართლისა დღესაც საქართველოს, მის მშობლიურ ერს დასტრიალებს თავს.

ზეციური საქართველოდან გვამხნევებს და გვწინამძღოლობს ილია მართალი.

წმინდა ილია მართალს იხსენებს 2 აგვისტოს ეკლესია.

ლევან გაბეჩავა

გვესაუბრება საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ლეჟავა

ლევან გაბეჩავა

ლოზუნგების დრო დიდი ხანია წავიდა. მისი უდიდებულესობა ადამიანი, ხალხი უკეთ ყოფას იმსახურებს. სწორედ ადამიანებზე, მათ კეთილდღეობაზე უნდა იყვნენ აქცენტირებულები ხელისუფლების ნებისმიერი შტოს წარმომადგენლები, ეს ეხება როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ აპარატში დასაქმებულთ, მათ, ვინც საკუთარ თავზე აიღო ქვეყნის ბედი.

სოციალური სფერო, სოციალური საკითხები რაკიღა კაცობრიობის არსებობის ძირითადი მიმართულებაა, რუბრიკაში, რომელიც "სამტრედიის მაცნემ" დაიწყო და საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეებთან საქმიან საუბრებს ისახავს მიზნად, პირველი სწორედ საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ლეჟავა ვისტუმრეთ.

გასულ წელს 618 000 ლარით იყო დაფინანსებული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამები. წელს კი, 702,3 ათასი ლარია ამ კუთხით გამოყოფილი.

მიმდინარე წლის ექვს თვეში 1735 ადამიანს გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება, რამაც 417 000 ლარი შეადგინა.

ერთჯერადი ფინანსური დახმარება ასევე მიმდინარე წლის 6 თვეში 831 პირს აღმოვუჩინეთო, გვეუბნება ბატონი გიორგი და დასძენს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა სამედიცინო მომსახურების მხრივ ხალხის მიმართ დახმარების ანალოგიური, ესოდენ მოცულობითი პროგრამები განხორციელებული, როგორც ამ ხელისუფლების დროს.

ჩვენს მოულოდნელ შეთავაზებას, კომისიის მუშაობის შესახებ მოეთხრო მკითხველთათვის, კომისიის თავმჯდომარე მომზადებული შეხვდა. სქელტანიანი რვეული გადაფურცლა და ციფრებისა და ფაქტების ჩვენებით ყველაფერი თვალწინ გადაგვიშალა. არც გამკვირვებია, დიდი ხანია ვიცნობ გოგის და მისი მუშაობის ჩინებული სტილიც ჩინებულადვე ვიცი.

_ კომისიის თავმჯდომარე მე გახლავართ, ჩემთან ერთად არიან კომისიაში ბატონები: კობა ძიძიგური, რაჟდენ ტორონჯაძე და ზურაბ ზაქარიაძე, საჭიროების შემთხვევაში ვიკრიბებით და ვახდენთ შემოსულ განცხადებებზე შესაბამის რეაგირებას. _ დასძინა კომისიის თავმჯდომარემ.

მიმდინარე წლის ექვს თვეში 92,6 ათასი ლარი გახარჯულა ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსებაში, საერთოდ კი 296 პირს მიუმართავს ამ კუთხით დახმარებისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 211 პირს 34,2 ათასი, განსაკუთრებულ შემთხვევებში 561 ადამიანს 72,5 ათასი ლარის დახმარება გაეწია ექვს თვეში.

_ როგორც კომისიის თავმჯდომარემ გვითხრა, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების მიღმა არც დიდი სამამულო ომის, ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების მონაწილეები და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილენი, დიალეზზე მყოფი ავადმყოფები, მარჩენალდაკარგულები, რიგი სხვა კატეგორიის პირები დარჩენილან, რომელთაც ნამდვილად სჭირდებათ ხელისუფლების არა მარტო ფინანსური, მორალური თანადგომა და დახმარება.

_ დამერწმუნეთ, არც ოთხი წელი და არც სამჯერ ოთხი წელი არ იქნება საკმარისი ყველა იმ პრობლემის სრულად აღმოსაფხვრელად, რომლის წინაშეც, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანის მოსახლეობის დიდი ნაწილი დგას, შიგა ფაქტორებთან ერთად ეს გარე ფაქტორებითაცაა განპირობებულიო. _ დასძინა ბატონმა გიორგიმ, მანვე მუნიციპალიტეტის გამგეობის, ასევე გამგეობის სოციალური სამსახურის აქტიურ, კოორდინირებულ მუშაობასაც გაუსვა ხაზი, მადლობა გადაგვიხადა კომისიის მუშაობით დაინტერესებისათვის და დაგვარწმუნა, რომ კანონის ფარგლებში ყველაფერს გააკეთებენ სამტრედიელთა სოციალური ყოფის გაუმჯობესების, ჯეროვანი ჯანდაცვის პროგრამის განუხრელად განხორციელებისათვის.

უფასო სასწავლო სახელმძღვანელოები, უმაღლეს სასწავლებლებში ასევე უფასო ფაკულტეტები, საყოველთაო ჯანდაცვისა და C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამა და მისი სიკეთე, რიგი სხვა საკითხები აშკარაა, რომ ხალხის კეთილდღეობისაკენ მიმართული ღონისძიებებია ხელისუფლების მხრიდან, რითაც ასეულობით ადამიანმა იგრძნო შვება.

აღნიშნულის მიუხედავად, მაღალი ფასები მედიკამენტებზე, პროდუქტზე ისევ რჩება მოსახლეობის არცთუ უსაფუძვლო უკმაყოფილების საბაბი, თუმცა, ბატონი გოგის თქმისა არ იყოს, ყველაფერი ერთდროულად ვერ მოგვარდება, მთავარია, ძალისხმევა არ შენელდეს ამ მიმართულებით.

ასე რომ, ხელისუფლების პრიორიტეტი არის და უნდა იყოს _ ადამიანი!

საკრებულომ რიგგარეშე სხდომა გამართა

15 ივლისს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა განიხილა:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის № 2 სამუსიკო სკოლის, გომის თემის, სოფელ დიდი ჯიხაიშის, სოფელ ტოლებისა და დაბა კულაშის სამუსიკო სკოლების "2016 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის განკარგულებებში ცვლილებების შეტანის საკითხები.

ამ საკითხებზე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა შალვა არზუმანიანმა მოახსენა.

მანვე წარუდგინა საკრებულოს "სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 დეკემბრის № 48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

"არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას" მიერ ცალკეული მომსახურების გაწევისათვის საფასურის ოდენობის დაწესებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ივლისის შესაბამის განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა მერაბ უორელიძემ მოახსენა.

საკრებულომ განიხილა რიგი სხვა საკითხები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

_ რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი ამოიწურა, გმადლობთ, მობრძანებისთვის, დაემშვიდობა სხდომის მონაწილეებს საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია.

ლევან გაბეჩავა

დემოკრატია _ მოქალაქეების მეტი აქტიურობა

საქართველოს ოთხ ქალაქში ფუნქციონირებს დემოკრატიის სკოლები, მათ შორის ერთ-ერთია ქუთაისი.

ქუთაისის დემოკრატიის სკოლა იმერეთის მთელ რეგიონზეა გათვლილი.

სკოლები ინტენსიური საგანმანათლებლო პროგრამის წარმომდგენები არიან და განკუთვნილია საჯარო მოხელეების, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და თანამედროვე დემოკრატიით დაინტერესებული აქტიური მოქალაქეებისათვის.

15 ივლისს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში დემოკრატიის სკოლის პრეზენტაცია გაიმართა.

"სამტრედიაში მეოთხედ ვართ, ამჟამად პრეზენტაციას ახალი, მეექვსე ნაკადის მისაღებად ვმართავთ, მინდა, ამომწურავად გესაუბროთ ჩვენი სკოლის შესახებ.

სწავლება ხუთთვიანი პროგრამით მიმდინარეობს (სექტემბერ-თებერვალი) სწავლების პერიოდში 30 სატრენინგო შეხვედრაა გათვლილი და თითოეული მეტად საინტერესოა.

ტრენერები კი ცნობილი სახეები, მოქმედი ექსპერტები არიან.

შემიძლია გითხრათ, რომ სკოლის თითოეული ნაკადი გამორჩეული იყო, მაგრამ განსაკუთრებული ბოლო გამოშვება გახლდათ, თუ გადაწყვეტთ და ჩვენთან მოხვალთ, გარწმუნებთ, ბევრს გაიგებთ, ისწავლით და უფრო აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებაც შეგეძლებათ. _ განაცხადა ქუთაისის დემოკრატიული სკოლის წარმომადგენელმა ანა შალიკიანმა პრეზენტაციისას და სკოლის სამტრედიელი კურსდამთავრებულების დავით გეგიას, ვლადიმერ ვაშაკიძისა და იმედა გოგავას მისამართით თბილი სიტყვები არ დაუშურებია.

საინტერესოდ წარიმართა ქუთაისის დემოკრატიული სკოლის მორიგი პრეზენტაცია.

ლევან გაბეჩავა

"საბრალდებო დასკვნა" სამტრედიისგან

თეა ბაბუნაშვილი

თეატრალური ფესტივალი იმერეთში, რომელმაც სტარტი 2002 წლიდან აიღო, 20016-შიც ქუთაისში, მესხიშვილის თეატრის სცენაზე გაიმართა. სამტრედიის დრამატული თეატრი ამჯერადაც იმ თეატრების რიცხვშია, ფესტივალის ნომინაციების გარეშე რომ არ რჩება. წელს "საბრალდებო დასკვნა" "ჩაიბარა" იმერულმა თეატრალურმა ფესტივალმა სამტრედიელებისგან. როლეზ გოგიშვილის სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის "თეთრი ბაირაღების" მიხედვით უკვე დრამატული თეატრის სტატუსის მქონე სამტრედიული დასის საფესტივალო განაცხადი გახლდათ. პიესის ავტორისა და ზოგადად ამ ნაწარმოებისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რეჟისორის, მსახიობებისა და დრამატურგის პასუხისმგებლობა ერთიორად მაღალი უნდა ყოფილიყო.

ჯერ კიდევ აქ, სამტრედიაში სპექტაკლის პრემიერაზე გადაჭედილი დარბაზი მოწმობდა ნაწარმოებისადმი საზოგადოების დიდ ინტერესთან ერთად დიდ სიყვარულს. არა მხოლოდ საპრემიერო, საფესტივალო შეფასებებიდან თუ ვიმსჯელებთ, სპექტაკლი შედგა! ცხადია, ამის ყველაზე დიდი დასტური გახლდათ დარბაზი მხურვალე ტაშით. ამასთანავე, ფესტივალის ჟიურის წევრის, თეატრმცოდნე, თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის დირექტორის, ლაშა ჩხარტიშვილის შეფასება: "სამწუხაროდ, მთელი ფესტივალის განმავლობაში, ძირითადად მწყინდება, სპექტაკლების ნახვისას მინდა დავტოვო და გავიდე. ამ შემთხვევაში ეს არ მომხდარა, პირიქით, მაინტერესებდა, ამის შემდეგ რას იტყოდნენ, რას მოიმოქმედებდნენ. ეს იმანაც განაპირობა, რომ საქმე ნოდარ დუმბაძესთან გვქონდა. უდავოა, რომ ამ ნამუშევრის წარმატება, ამ ეტაპზეც კი, მისი დამსახურება გახლდათ. გარდა ამისა, ჩემი ყურადღება რამდენიმე მსახიობმაც მიიქცია."

რამდენიმე მსახიობმა არა მხოლოდ ყურადღება მიიქცია, ორი მათგანი ფესტივალის სპეციალური პრიზითაც დაჯილდოვდა: მამაკაცის სახასიათო ეპიზოდური როლის შესრულებისთვის როლეზ გოგიშვილი, ახალგაზრდა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის კი ნიკა ფხიკიძე.

გარდა იმისა, რომ მამაკაცის ეპიზოდური როლი საუკეთესოდ ითამაშა, როლეზ გოგიშვილი ამ სპექტაკლის რეჟისორი გახლდათ. ტარიელ ხაჟალიას მიერ 1972 წელს სამტრედიის სცენაზე დადგმული "საბრალდებო დასკვნა" მან 45 წლის შემდეგ განაახლა. ზაზა ნაკაშიძე პირველი როლი გახლდათ მისთვის, როგორც დამწყები მსახიობისთვის. მანაც ისევე ანდო ეს როლი ახალგაზრდა

მსახიობს, როგორც მას ანდეს 45 წლის წინ. გარდა ამისა, ეს სპექტაკლი ერთგვარი მიძღვნაცაა: "45 წლის წინ 9 დღე მიდიოდა სპექტაკლი ანშლაგით. მაშინ სხვა დამოკიდებულება იყო თეატრის მიმართ, საზოგადოებას უყვარდა, მოთხოვნილება გახლდათ თეატრში სიარული. სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს სიყვარული დაკარგა. ამიტომ დღეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა რეჟისორისა და მსახიობებისა, მთელი თეატრალური დასისა, რომ სპექტაკლზე მაყურებელი მიიზიდონ. რაც შეეხება 45 წლის წინანდელ "საბრალდებო დასკვნას" _ მასში მონაწილე მამაკაცი მსახიობებიდან დღეს მხოლოდ მე გახლავართ ცოცხალი და დედის როლის დუბლიორი შემსრულებლები, მზია ჩიხლაძე და ჟუჟუნა ნიკურაძე. ამიტომ ეს ერთგვარი არა მხოლოდ გახსენება, არამედ მონატრებაა იმათი, ვისთან ერთადაც სამსახიობო ნათლობა მივიღე და მერე ცხოვრების გარკვეულმა წლებმა სცენაზე გაიარა."

რაც შეეხება ახლანდელ "საბრალდებო დასკვნას", ნაცნობი სახეები ნაცნობი პერსონაჟებით იმ ამბავს ჰყვებოდნენ, საქართველოში ყველამ ზეპირად რომ იცის, მაგრამ ყველასთვის ყოველთვის ახალია. ათასჯერ მოსმენილ-გამეორებული ფრაზები კიდევ და კიდევ ახალ დატვირთვას იძენდა. დარბაზში აქაიქ განსაკუთრებულად შეინიშნებოდა მაყურებლის მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი, როცა სცენაზე თქვეს: "მართალი კაცის დაჭერაა ძნელი..."; "უუფლებობა გვაწუხებს თორემ, დიდი სიამოვნებით დაგიმტვრევდით ცხვირ-პირს!" და კიდევ არაერთი ფრაზა დუმბაძისეული სითბოთი და სიყვარულით, მარტივი სიბრძნით ნათქვამი. ის, რომ ადამიანს, როგორც მონასტრის კედელზე გამოხატულ ფრესკას, იმ მხრიდან უნდა უმზირო, საიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება, სპექტაკლის მსვლელობისას სცენიდან არ თქმულა, ალბათ იმიტომაც, რომ მთელი ეს წარმოდგენა სწორედ ამას გულისხმობდა და მაყურებელი თავად უნდა მისულიყო ამ ჭეშმარიტებამდე. საინტერესო იყო სპექტაკლის დასაწყისი, "პატიმარი" მსახიობების შუქჩამქრალი დარბაზიდან ასვლა სცენაზე, ჯერ კიდევ ახლო წარსულში აკრძალული ცნობილი სიმღერის, "ასეთია ქურდი კაცის ბედის" ფონზე.

და აქვე ისიც, რომ კულტურის მინისტრის თანდასწრებითაც კი, ფესტივალის ჟიურის წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა და ჟიურის თავმჯდომარე ნიკა წულუკიძემ ისაუბრეს იმაზე, რომ სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის სახალხო, უკვე დრამატული თეატრი, ღირსია სახელმწიფო თეატრის სტატუსი ატაროს. ეს გახლავთ თემა, რომელზეც რეჟისორი და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვეფხია ნადირაძე კარგა ხანია მუშაობს. სამტრედიის თეატრალური წარსული და როგორც ჩანს დღევანდელობაც, ამას იმსახურებს.

განსაკუთრებული ბგერით ამღერებული გაფუჭებული როიალი

თეა ბაბუნაშვილი

პიანისტი გახდება! გადაწყვეტილება უკვე მიიღო და არ შეცვლის. თუმცა, ჯერ დომენტი შანიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის მეორეკლასელია მხოლოდ. კლასიკური მუსიკის კონცერტებზე თავდაპირველად ბებოს დაჰყავდა, ამავე სკოლის ფლეიტის პედაგოგ ირმა დუნდუას. დღეს ივი აღარაა სკოლის პედაგოგი, ქეთევან ზარიაშვილი კი წარჩინებული მოსწავლე გახლავთ. მუსიკალური განათლება აქვს დედასაც და ქეთევანი ბებიასა და დედის სიყვარულის გამოც ცდილობს კარგი პიანისტი გახდეს.

წარმატებები უკვე აქვს, იმდენი და ისეთი, მის ასაკში ბევრი რომ ვერ დაიკვეხნის. დიახ, მუსიკალური ოჯახის გარდა, პედაგოგზე იმაზე მეტია დამოკიდებული, ვიდრე სიტყვა "ბევრი" გულისხმობს. ამაშიც გაუმართლა ქეთევანს, იგი თამარ შურღაიას კლასშია. საქმეში ჩახედული მკითხველისთვის უკვე გასაგებია შრომისმოყვარე ქეთევანის წარმატებების მიზეზი.

ქუთაისიდან დაწყებული, არაფერს ვამბობთ ანკლიაში გამართულ "დელფიადაზე", არა ერთ მუსიკალურ კონკურსსა და ფესტივალს პირველი ადგილისა და პროფესიონალების ყურადღების გარეშე არ ჩაუვლია. ქუთაისში წელს პირველად ჩატარდა კონკურსი ეთნიკური დატვირთვით, ქართველს სომეხი ეროვნების ავტორის და ასე შემდეგ, ნაწარმოები უნდა შეესრულებია. ქეთევან ზარიაშვილი მოწინავე კონკურსანტთა რიგებში იყო.

პირველობა არც სენაკში გამართულ მუსიკალურ ფესტივალზე დასთმო. მას ხელოვნების აკადემიის გენერალური დირექტორი ვალერიან შიუკაშვილი ხელმძღვანელობდა. სამი ნაწარმოებიდან: ცაბაძის "პეპი გრძელი წინდა", შუმანის "ოცნება" და ტურიაშვილის "სიმღერა", მხოლოდ ორი უნდა დაეკრა. ეს უკანასკნელი პედაგოგმა იმიტომ დაამატა, რომ შუმანი ქეთის ასაკისთვის ძნელი შესასრულებელი გახლდათ. თუმცა, მან სიძნელეს ადვილად გაართვა თავი, იმდენად ადვილად, რომ ვალერიანე შიუკაშვილმა მარტო მას ფესტივალის მონაწილეებიდან ათი გაკვეთილი ხელოვნების აკადემიაში უფასო მასტერკლასის სახით "აჩუქა".

უფრო მასშტაბური წარმატება ბორჯომში ელოდა. თენგიზ ამირეჯიბის სახელობის ახალგაზრდა მუსიკოსთა მეორე ეროვნულ კონკურსზე სამტრედია ქეთევან ზარიაშვილმა საკმაოდ რთული რეპერტუარით წარმოადგინა. ცაბაძის "პეპი გრძელი წინდასა" და შუმანის "ოცნებას", ჰაიდნის სამნაწილიანი "პასტორალური სონატინა" დაუმატა. ამ სერიოზულ კონკურსზე ქეთის გაგზავნის გადაწყვეტილება სახელოვნებო სკოლის დირექტორმა, ირმა შანიძემ მიიღო. არჩევანში არც შემცდარა, რადგან ქეთი ის კონკურსანტი

აღმოჩნდა, რომელმაც კონკურსის ჟიურის თავმჯდომარის, ალექსანდრე კორსანტიას განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. იგი იმ რვა კონკურსანტს შორის მოხვდა, პირველობა რომ ხვდათ წილად. მისით კონკურსის სამხატვრო ხელმძღვანელი, თამარ ლიჩელი და ჟიურის წევრი ედიშერ სავიცკი დაინტერესდნენ. შესვენებაზე კი სვეტა კორსანტიამ, საკონკურსო როიალით უკმაყოფილომ, ქეთევანის მისამართით აღნიშნა, ამ პატარა გოგონამ ეს გაფუჭებული როიალი აამღერაო. როგორც აღმოჩნდა, იგი კონსერვატორიაში ქეთის პედაგოგის, თამარ შურღაიას მასწავლებელი გახლდათ. წარჩინებული სტუდენტი წლების შემდეგაც გაიხსენა და დასძინა: "აღარ მიკვირს ამ ბავშვს ასეთი ლამაზი ბგერა რატომ აქვს."

სამომავლო გეგმები ამბიციურია, რადგან მას შეუძლია ამბიციების გამართლება." _ თვლის ირმა შანიძე. იგი ელისო ბოლქვაძის ფონდს, რომელიც ნიჭიერ მუსიკოსებს ხელს უწყობს, დაუკავშირდა, რათა მეორეკლასელი ქეთევან ზარიაშვილი ამ ფონდის ფინანსური მხარდაჭერით სხვადასხვა პრესტიჟული კონკურსისა და ფესტივალის მონაწილე გახდეს. უკვე სექტემბერში ქეთევანი აქაც მიწვეულია მასტერკლასებზე.

წლები მალე გავა და სამტრედიაში, დიდი ტრადიციების საძუსიკო სასწავლებელში სჯერათ, ქეთევან ზარიაშვილიც იქნება მათ რიგებში, ქართულ საფორტეპიანო სკოლას შორს რომ გაუთქვავს სახელს.

სადაც ოვალია და აბლოლისმუნტუბია, იქ "ლადი" ყარავს!

თეა ბაბუნაშვილი

ყოველ შემთხვევაში სამტრედიაში, თუმცა რატომ, არა მხოლოდ სამტრედიაში, ასე იყო ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, ასე იყო ბაქოში. ამიტომ ვრან-ბრი და არაერთი მედალი არაერთ ნომინაციაში, მხოლოდ ოქრო, ჯერჯერობით ვერცხლიც კი არა, ყველა გასტროლიდან ჩამოიტანეს. მშობლიური პატარა ქალაქი ევროპას და აზერბაიჯანს გააცნეს. ასე ხდება ხოლმე, ნიჭიერ ახალგაზრდებს თავს რომ მოუყრი და საკუთარი ნიჭის გამოვლენის საშუალებას მისცემ.

"ლადის" უკვე იცნობენ მშობლიურ ქალაქში. კარგადაც! განახლებული შემადგენლობით კიდევ ერთი კონცერტი გამართეს. როკ-ფოლკ ჯგუფი, როგორც ეს პროფესიონალებს შეეფერება, დღითიდღე ხვეწავს და ანახლებს რეპერტუარს. ამჯერად ეროსი მანჯგალაძის საბალეტ ოვალია და აბლოლისმუნტუბია, იქ "ლადი" ყარავს!

ხელობის კულტურის ცენტრის სცენაზე იდგნენ. ცხელი ზაფხულის ერთი დღე იმ დარბაზში "ლადისთან" ერთად კიდევ უფრო ცხელი გახდა ყველში მოწოლილი ემოციებით რიტმს აყოლილი დარბაზისთვის. "არიან ძალიან კარგები, მუშაობა და საქმის სიყვარული კიდევ მეტს მოუტანთ. მთავარია, რომ ამ ნიჭიერ ახალგაზრდებს გვერდით ჰყავთ ადამიანი, ვისი ახალგაზრდობაც ამ საქმეს უკავშირდებოდა და მან ეს სიყვარული ამჯერად "ლადიში" ჩადო. ბეჟან გოგიამ, წარსულში "ცისარტყელას" სოლისტმა, როგისადმი თავისი სიყვარული აქ "დაბანდა." პროფესიონალიზმისკენ გადადგმული ნაბიჯები აშკარაა. დანარჩენი დროზე, მონდომებასა და მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. და კიდევ, განსაკუთრებით მიხარია, რომ სამტრედიას "ლაბირინთის" შემდეგ ისევ ჰყავს ჯგუფი, რომელიც ასეთ მუსიკას უკრავს." _ ასე მერაბ წილოსანი ფიქრობს, ტრიო "სიმების" ერთ-ერთი წევრი.



სპეციალურ დიპლომს სანამ გადასცემდა, კავკასიის საერთაშორისო ფესტივალების ასოციაციის თავმჯდომარე ამირან ბუთურიშვილი პრაღასა და ბერლინში გამართული კონცერტების წარმატებებზე ჰყვებოდა. ბერლინში, ფრიდრიხ შტრასეზე, ბრანდერბურგის კარიბჭესთან და რაიხსტაგთან ახლოს, ბერლინის კედლის მიმდებარედ, ჰიტლერის მიერ აშენებულ სასახლეში ნამღერი "ჰავა ნაგილაც" გაიხსენა, მთელი დარბაზი რომ აამღერა. "არადა, ჰიტლერი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ბეჟანს დახვრეტდა, ბავშვებს საკონცენტრაციო ბანაკში გაუშვებდა და მე დღის სინათლეს არ მანახებდაო," _ ხუმრობს იგი. ანსამბლთან და მის ხელმძღვანელთან, ბეჟან გოგიასთან, პირველი წარმატებული გასტროლის შემდეგ მეგობრობს ამირან ბუთურიშვილი. მან კარგად იცის რა სჭირდება ნიჭის გამოვლენას და ამიტომ სცენიდან მოუწოდებდა ყველას, ხელისუფლებას, ბიზნესმენებს, ადამიანებს, რომლებსაც ამის საშუალება აქვთ, გვერდით დაუდგნენ ახალგაზრდებს, ისევ სამტრედიის საკეთილდღეოდ! მისი მოადგილე ნანა მიშელაძე, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ "ამ ბავშვებმა ევროპას საქართველო და სამტრედია არა მხოლოდ ნიჭიერებით, არამედ კარგი აღზრდით, კულტურით, კარგი ოჯახისშვილობით გააცნეს", დიდ სიყვარულს და პატივისცემას გამოხატავდა.

და "სამტრედიის მაცნე" _ აქ იცნობენ და უყვართ "ლადი". "ლადიც" იცნობს და უყვარს ეს ადგილი. მათი პირველი თავშეყრაც და ნათლობაც აქ შედგა, პირველი წარმატება ოჯახებთან ერთად აქ გაიზიარეს. დარბაზშიც განსაკუთრებით გულშემატკივრობდნენ, გულწრფელი იყო "მაცნეელების" ემოციები. სხვანაირად არც შეიძლებოდა და "ლადისაც" ყველაზე უფრო სწორედ "სამტრედიის მაცნე" ეიმედებოდა.

ღელავდა ხელმძღვანელი, მაგრამ ეამაყებოდა "ლადი", მისი მონდომების, შრომის, მუსიკისადმი დამოკიდებულების და სიყვარულის ნაყოფი. უხაროდა ემოციურად დატვირთული დარბაზი და ბევრი, ძალიან ბევრი "ბრავო!" ანსამბლ "ცისარტყელას" სოლისტმა, 60-70-იანი წლები სამტრედია კარგად რომ იცნობდა, "ლადის" წარსულის ნოსტალგია და მომავალი მუსიკალური გეგმები ანდო.

დარბაზში უკვე გულშემატკივრების, მეგობრების ამპლუაში ისხდნენ. ახლა აღარ არიან ჯგუფის შემადგენლობაში, თუმცა, მისი პირველი წარმატებები სწორედ ამ ახალგაზრდებს უკავშირდება. ისე უხაროდათ ეს ახმაურებული ერთი საათი, როგორც საკუთარი გამარჯვება. სხვანაირად არ შეეძლოთ, რადგან "ლადი" მათიც არის, მათი პირველი მიღწევა და გამარჯვება.

საღამოს სამტრედიას დარბაზიდან გამოტანილმა ემოციამ გადაურბინა. მეორე დღეს თუ ყველა არა, იმაზე მეტი საუბრობდა ქალაქში ამ კონცერტზე, ვიდრე დარბაზში მსმენელი იჯდა. ესეც კიდევ ერთი წარმატება წარმატებების ყულაბაში. თუმცა, ეს ერთი არ არის და ცხადია, არც უკანასკნელი იქნება!

ღამაზი ტრადიცია გრძელდება

საუბარია იმ ტრადიციაზე, ჭადრაკის, სპორტის ამ გონივრული სახეობის კიდევ მეტ პოპულარიზაციას რომ უკავშირდება.

უყვარდათ და უყვართ სამტრედიაში ჭადრაკი.

ჩვენს რაიონს ხშირად სტუმრობდნენ აღიარებული ჩემპიონები, მწვრთნელები, რაც აღნიშნულის ნათელი დასტურია.

1978 წელს, ფოტოკორესპონდენტ იური შაქარიშვილის მიერ, სამტრედიის საჭადრაკო კლუბთან არსებული საჭადრაკო სკოლის საზეიმოდ გახსნის ერთი მომენტია აღბეჭდილი ფოტოზე, რომელზეც გამოსახულნი არიან მარცხნიდან: რევაზ თვარიანი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში. ედვარდ გუფელდი, საერთაშორისო დიდოსტატი.

თენგიზ გიორგაძე, საერთაშორისო არბიტრი.

იაკობ ესტრინი, საერთაშორისო დიდოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი მიწერ-მოწერით ჭადრაკში.

თამაზ იმედაძე, სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი.

გივი კალაძე, სამტრედიის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

ნათელა გელეიშვილი, სამტრედიის რაიკომის მდივანი.

ვაჟა ნიკოლეიშვილი, გაზეთ "წინსვლას" რედაქტორი, სამტრედიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე.

ნოდარ ანდრიაძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე.

მიხეილ მელქაძე, აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

როგორც აღვნიშნეთ, უყვართ ჭადრაკი სამტრედიაში, მისასალმებელია, რომ მუნიციპალიტეტის მესვეურნი, შესაბამისი სამსახურები ყველაფერს აკეთებენ ჭადრაკის პოპულარიზაციის, მასობრიობისა და იმედისმომცემი მოჭადრაკეების მოტივაციისათვის, რაც მათდამი ყურადღებითა და მზრუნველობითაა გამოხატული.

ლევან გაბეჩავა



„სამტრედიის მატიანე" _ ჯილდო ერთი ჟურნალი

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი არის გამოსახული ფონად ჟურნალ "სამტრედიის მატიანეს" გარეკანზე. ეს არის სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ჩამოყალიბების მხარდამჭერთა საინიციატივო ჯგუფის ჟურნალი, რომლის პირველი ნომერიც ივლისში გამოიცა. 145 წლის სამტრედიის მდიდარი წარსული არაერთი მკვლევარისა და მეცნიერის ინტერესის საგნად ქცეულა. ჟურნალში უამრავ საინტერესო მასალას იხილავთ სამტრედიის კულტურული წარსულის შესახებ.

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი ჯონი ნადირაძე, რომელსაც სამტრედიელები ძალიან კარგად იცნობენ ეროვნული მოძრაობიდან, სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ჩამოყალიბების მხარდამჭერთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელიც გახლავთ. ჟურნალი სწორედ მისი წერილით იხსნება, სადაც ბატონი ჯონი სამტრედიის ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თარიღად მიიჩნევს 2014 წლის 26 თებერვალს, დღეს, როცა სამტრედიის საზოგადოებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება "სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის" ჩამოყალიბების შესახებ. ბატონი ჯონი ასევე მიმოიხილავს ე. წ. სამუზეუმო მოძრაობის" ისტორიას სამტრედიაში.

"ეს მოძრაობა სამტრედიაში მაშინდელ პიონერთა სახლში დაიწყო გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა 1973 წ. პიონერთა სახლში შეიქმნა მხარეთმცოდნეობის განყოფილება. ახლად შექმნილი განყოფილების წარმატებული მუშაობა დიდად განაპირობა მის ხელმძღვანელად ქალბატონი გულიკო ცინცაძის დანიშვნამ... განყოფილება და შემდგომში მის ბაზაზე შექმნილი მხარეთმცოდნეთა კლუბი "ფაზისი" აწარმოებდა მეზეუმისთვის დამახასიათებელ ყველა საქმიანობას". _ ნათქვამია მთავარი რედაქტორის წერილში.

ჟურნალის რედაქტორი, გულიკო ცინცაძე, ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის განყოფილების გამგეა, სწორედ მისი და გეოგრაფ ციცინათელა ლალიაშვილის წერილია მოთავსებული ჟურნალში სახელწოდებით "სამტრედიის მუნიციპალიტეტის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ტერიტორია და რელიეფი". ტელეფისის ციხის შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის ალექსანდრე თევზაძის წერილი, გურანდა შანიძე სოფელ ნიგორზღვის ისტორიას მიმოიხილავს, ლია ბიბილეიშვილი დიდი ქართველი მოაზროვნის, ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის დიდებულ წარმომადგენლებზე მოგვითხრობს. ჟურნალში ასევე იხილავთ სამტრედიის მრავალი ღირსეული შვილის მიერ მომზადებულ საინტერესო მასალას.

სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში არიან: ნათელა ბრეგაძე, ნათელა გელეიშვილი, ტატა გოგუაძე, ალექსანდრე თევზაძე, ირაკლი მაჭავარიანი, ნათია ნაცვლიშვილი, ნინო ტონია.



ჟურნალი გამოიცა საქველმოქმედო ფონდ "ივერილეთა ეკლესიის მატიანეს" დამფუძნებლისა და თავმჯდომარის სერგო რუხაძის მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით. ჟურნალის მეცნიერ-კონსულტანტი პროფესორი ედიშერ გვენეტაძეა. მკითხველი ჟურნალში იხილავს პროფესორ ედიშერ გვენეტაძის და ინჟინერ გულივერ გაგუას ნაშრომს "საჯავახოს მხარის ისტორიიდან".

ვუსურვებთ ჟურნალს, მალე ეუწყებინოს თავისი მკითხველისათვის სასიხარულო ინფორმაცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების შესახებ. ამ ჟურნალის გამოცემაც ხომ სწორედ ამ მამულიშვილური საქმის ბოლომდე მიყვანით არის ნაკარნახევი.

"გამოხატავდა ცოცხალ საქართველოს"

ნათია ნაცვლიშვილი

"რეზო თაბუკაშვილი... ინტელიგენტური ოჯახის შვილი, ნაღდი, თბილისელი, ცოტას კიდევ უქცევდა ენას ზემოიმერულად, მაგრამ მასზე უფრო ნაღდი თბილისელი, იშვიათად შემხვედრია. სულიერად იმდენად მდიდარი იყო, რომ მხოლოდ მწერლობით როდი შემოიფარგლა. კინო და თეატრი გახდა მისი მეორე და მესამე მუზა. რაინდი იყო და რაინდულად იქცეოდა შინ და გარეთ, უცხოეთში, მეგობრულ სუფრასთან თუ დეპუტატთა ყრილობაზე, ყველგან ძლიერი, მართალი, ნაღდი!" _ ასე იგონებდნენ თანამედროვენი მას, ვინც საქართველომ ღირსეულ შვილთა დასში ჩარიცხა... ვინც ქართველმა კაცმა შეიყვარა მისი დოკუმენტური ფილმების, მისი შესანიშნავი თარგმანების, უცხო მიწაზე გაბნეული ქართული დიდების მოძიება-შეკრების გამო...

უმაღლესი განათლება მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა (დიპლომატიურ) ინსტიტუტში მიიღო. მისი პირველი ლექსები და თარგმანები 40-იან წლებში გამოჩნდა ქართულ პრესაში. მოგვიანებით ბრწყინვალედ თარგმნა ინგლისურიდან შექსპირის სონეტები. ის არის ავტორი პიესებისა, დაწერილი აქვს კინოსცენარები ფილმებისათვის "წარსული ზაფხული", "ჯვარცმული კუნძული", "მზე შემოდგომის", "რეპორტაჟი ნიდერლანდებიდან", ასევე ლიბრეტოები ოპერებისათვის: "მინდია", "ქაჯანა" და სხვა.

1980 წელს ეკრანებზე გამოვიდა კინოდილოგია "ქართველები იტალიაში", რომელშიც გაერთიანებულია დოკუმენტური ფილმები "კვალი ნათელი" და "ალპური ვარსკვლავი". ამ კინოდილოგიას მოჰყვა კიდევ ორი. ერთში "მთანი მაღალნი" გაერთიანებულია ფილმები "მიხეილ ხერგიანი" და"ვიტორიო სელა". მეორეში კი, "პირველად იყო სიტყვა" და "ფურცლები ფრანგული დღიურიდან". შემდეგ რევაზ თაბუკაშვილმა უდიდესი ქართველის, ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი გააუკვდავა ფილმით "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი". და კიდევ ერთი დილოგია, რომელშიც გაერთიანა ფილმები: "ნაძარცვის კვალდაკვალ" და "შორეულთა სიახლოვე".

ესაა ფილმები, რომლებიც თავიანთი მრწამსით, მიზანდასახულობით, ზნეობრივი თუ ეროვნული პოზიციით, მეცნიერული აღმოჩენებით და შემოქმედებითი მიგნებებით ზოგადეროვნულ ფასეულობებად რჩებიან საქართველოს ისტორიაში. ამ ფილმებმა გამოაღვიძეს ჩვენი ეროვნული თვითშეგნება.

თამარაშვილის საფლავის მიკვლევა და მისი ნეშტის საქართველოში ჩამოსვენება, უცხოეთში მიმოფანტული ქართული მატერიალური თუ სულიერი კულტურის ძეგლების მოძიება, აღნუსხვა, სამშობლოში დაბრუნება, საქართველოსთან დაკავშირებული უცხოური წერილობითი და ვიზუალური მასალის კვლევა-ძიება, უცხოეთში ქართველთა ნაკვალევის ძეგლებითა თუ მემორიალური დაფებით დაფიქსირება, სამშობლოსათვის წამებულთა სახელებისა თუ სახეების წარმოჩენა ტექსილის გმირებიდან და ექვთიმე თაყაიშვილიდან მოყოლებული ქეთევან წამებულამდე _ ეს ყოველივე შეძლო დიდმა რეზომ სწორედ იმ წლების განმავლობაში, როცა ეს უამრავ გადაულახავ სირთულესთან და ხიფათთან იყო დაკავშირებული. ეს ეროვნული მოღვაწე ერთგვარი ხიდი იყო საქართველოსა და ქართულ ემიგრაციას შორის, მისი დამსახურებაა საქართველოს გულშემატკივართა წრის გაფართოება უცხოეთის მრავალ ქვეყანაში. იგი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა კინოსტუდია "ქართულ ფილმში" მის მიერვე შექმნილ მწერალთა შემოქმედებით გაერთიანებას. მის ღვაწლს ისიც ასხივოსნებს, რომ ამ დიდ საქმეთა შემოქმედი კაცი, თავმდაბლობისა და მოკრძალების გამო, მუდამ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა, არასოდეს მიელტვოდა ჯილდოებსა და რეგალიებს, თუმცა, როგორც ძველი ჩინური ანდაზა ამბობს, ცეცხლს ქაღალდში ვერ შეახვევ. იგი საქმემან მისმან სიცოცხლეშივე წარმოაჩინა, სიცოცხლეშივე მოიმკა საყოველთაო სიყვარული, მოწიწება და მოიპოვა ქართველი კაცისაგან მასზე დიდი კაცის მიმართ ძნელად გასამეტებელი ტიტული _ მამულიშვილი!... მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, იყო რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

ის 1990 წელს, 3 ავისტოს ძალიან ახალგაზრდა, 63 წლისა წავიდა ამ სოფლიდან და ვერ დაასრულა ნაოცნებარი კინოტრილოგია რწმენაზე, რომელშიც უნდა გაეერთიანებინა ფილმები გაბრიელ ეპისკოპოსზე, ქეთევან წამებულსა და გრიგოლ ფერაძეზე.

სულ იმის ცდაში იყო, საქართველო და მისი კულტურა გაეცნო მსოფლიოსთვის. "ოღონდ, კიდევ ერთი ფურცლით, ნივთით და ამბით გაემდიდრებინა ერის სულიერი საგანძური, საკუთარ სიცოცხლეს სასწორზე აგდებდა, ის ყველგან ღირსეულად წარმოადგენდა ქარ-



თველ ერს, თავისი პიროვნებით გამოხატავდა ცოცხალ საქართველოს. მისი პიროვნული მომხიბვლელობა მოუგერიებელი იყო, რამდენი დაინტერესდა და კეთილმოსურნედ ექცა საქართველოს რევაზ თაბუკაშვილის მეცადინეობით... სასიკვდილო სარეცელზეც კი რაინდად დარჩა... სჯეროდა, კვლავ გაუდგებოდა შორეული ინდოეთის გზებს, სადაც ქეთევან წამებულის ძვლები ეგულებოდა". _ იგონებს ზურაბ წერეთელი.

"მახსოვს საქართველოს დელეგაციის ვიზიტი ამსტერდამში, საბჭოთა საელჩო. მიღება. მაშინ მხარზე დამადგი ტელე-აპარატი და ისე უღებდი სურათს საელჩოში მოწვეულ უცხოელ დიპლომატებს, ელჩი შენობიდან გასულ თარჯიმანს ამაოდ ეძებდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია, უხერხული მდგომარეობა შეიქმნა და შენ იხსენი ელჩი. გადაღება შეწყვიტე, გახვედი წინ და შენი ღვთაებრივი ხმით, ოქსფორდისეული აქცენტით, ინგლისურ ენაზე მოუთხრე მსოფლიოს დიპლომატებს შორეული, უსაყვარლესი, ზღაპრული, გასაოცარი საქართველოს შესახებ. შენს სიტყვას სდევდა მქუხარე ტაში...

მახსოვს უცხოეთში, ჩემი გოგონასათვის მომეწონა კაბა, ფული არ მყოფნიდა, სასტუმროში დაბრუნებისას ჩემს საწოლზე იდო ის კაბა, შენგან საჩუქრად, შენ კი მიმალავდი, რომ იმ საღამოს უვახშმოდ დარჩი.

მახსოვს სასტუმრო "ვიკინგი", დიდი დარბაზობა, ბრწყინვალე "გალა-კონცერტის" შემდეგ ვერავინ ვბედავდით თამადობას. უეცრად შენ გამოგვეცხადე ქართული ახალუხით და შენი უბადლო სილამაზით აღფრთოვანებულ თანამემამულეებსა და უცხოელებს უჩვენე ქართველი ადამიანის სიბრძნე, ადათ-წესები, რაინდული სულისკვეთება და ერუდიცია!

მახსოვს ჰოლანდიელი ქართველი ტაქსის მძღოლის ვაჟის _ ობოლი მიშელ ნატროშვილის სახე, როდესაც ტექსელის კუნძულზე მამამისის საფლავთან, სოლიდურ ყინვაში პალტო გაიძვრე და მას გადააცვი". _ ეს ვრცელი მოგონება ქართლოს კასრაძის გამოსათხოვარი წერილიდან მოვიტანეთ, საგანგებოდ არ ამოვიღეთ არცერთი პასაჟი, რათა რეზო თაბუკაშვილის პიროვნების ელვარება და სიკაშკაშე სრულიად წარმოგვეჩინა.

წერილს კი ჯანსუღ ჩარკვიანის სიტყვებით დავასრულებთ: "ძმაო, რეზო, შენ მოდიოდი მზიდან, ცეცხლიდან, ელვიდან, რათა მოსულიყავ წმინდა სამებად. ...ჩვენგან სათაყვანებელი შენა ხარ მსხვერპლი გასაოცარი, დაბადებული ქარიშხალში..."

მეგობარი, მეგობრობა და დამეგობრებული ქალაქები

...მეგობრობა გზად და ხიდადო, საუკუნეთა წინ დაგვმოძღვრა სულმნათმა წინაპარმა.

შეუძლებელია, ქართველ ერს (ცალკეული ინდივიდების გარდა) მეგობრობის არცოდნა დასწამო. ქართველი ხომ ოდითგანვე სხვათა შემწყნარებლობით, ტოლერანტობით გამოირჩეოდა.

...ბოლო ოცწლეულში არაერთხელ გავხდით მოწმენი, რომ დიდი ზარ-ზეიმით გაფორმდა მეგობრობის, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება სამტრედიასა და რიგ საზღვარგარეთულ ქალაქთან, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ დღის მერე, ვერ იარსება ამ ხელშეკრულებებმა.

მაგალითად?

წლების წინ სამტრედიასა და ისრაელს ქალაქ ლოდთან მეგობრობის ხელშეკრულება გაფორმდა. წარმომადგენლობითი დელეგაცია სტუმრობდა მაშინ სამტრედიას, დაბა კულაშს, შესაბამისი პროცედურებით წარიმართა ყოველივე და...

2013 წლის გვიან შემოდგომაზე სამტრედიას უკრაინის ქალაქ ტალაილავკის დელეგაცია ეწვია ქალაქის ადმინისტრაციის უფროსის, ბატონ ვიტალი გოლცის ხელმძღვანელობით, გაფორმდა მეგობრობის მემორანდუმი ორ ქალაქს შორის, მაგრამ...

არ გვინდა, ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ეჭვი შეგვქონდეს ქართულ-ებრაული ოცდაექვსაუკუნოვანი მეგობრობისა და ქართულ-უკრაინული მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის გულწრფელობაში, მაგრამ ეს კონკრეტული შემთხვევებიც რომ რეალობაა, ამ ფაქტსაც ვერსად გავექცევით.

ამ ციცქნა წერილის მიზანი სხვა არაფერია, თუ არა პირველ ყოვლისა გაოცება, თუნდაც ამ ორი ფაქტის გამო და ხმამაღლა განცხადება იმისა რომ ისეთი მარადიული მცნებ(ებ)ით, როგორც მეგობრობაა, არც ერთ მომენტში, არც ერთ დონეზე ფუჭად მანიპულირება, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელია...

ლევან გაბაჩავა

ჰაიმორიტის მკურნალობის ხალხური და ტრადიციული მეთოდები

ჰაიმორიტი არის ზედა ყბის ძვლის წიაღის ლორწოვანი გარსის ანთება, რომელიც ვითარდება მწვავე სურდოს, გრიპის, წითელას, ქუნთრუშისა და სხვა ინფექციური დაავადებების გართულების შედეგად. ხშირად მოსახლეობა ერთმანეთში ურევს ფრონტიტსა და ჰაიმორიტს. მათ შორის კი დიდი სხვაობაა. ჰაიმორიტი არის ზედა ყბის ძვლის წიაღის ლორწოვანი გარსის ანთება, ფრონტიტი კი _ შუბლის წიაღის. ჰაიმორიტის დროს ტკივილი ყვრიმალის ძვლების არეშია, ფრონტიტის დროს კი _ შუბლის. ჰაიმორიტი შეიძლება იყოს: მწვავე და ქრონიკული. ქრონიკული ჰაიმორიტი, როგორც წესი, მწვავე პროცესის გაგრძელებას წარმოადგენს. ჰაიმორის ღრუში 4 კვირაზე მეტხანს გაგრძელებული პროცესი გახანგრძლივებულად ითვლება, ხოლო თუ ის მე-6 კვირის ბოლოს არ ალაგდა, მაშინ დაავადება ქრონიკულ ფორმაშია გადასული.

რა იწვევს ჰაიმორიტს

ჰაიმორიტის განვითარების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ინფექცია _ ბაქტერიები ან ვირუსები შეიჭრებიან ჰაიმორის წიაღში ცხვრის ღრუს გავლით ან სისხლის საშუალებით და იწვევენ ანთებით პროცესს.

ქვემოთ ჩამოვთვლით იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ჰაიმორიტის განვითარებას:

1. ცხვირით სუნთქვის დამრღვევი მდგომარეობები: ცხვირის ძგიდის გამრუდება, ვაზომოტორული რინიტი, ჰიპერტროფული რინიტი (ცხვირის ნიჟარების გადიდება), ბავშვებში _ ადენოიდები, ცხვირის ალერგიული დაავადებები.

2. იმუნიტეტის დარღვევა, რომელსაც იწვევს ხანგრძლივი ქრონიკული დაავადებები, ალერგიული მდგომარეობები და სხვა.

3. ჩვეულებრივი გაცივების, ზემო სასუნთქი გზების დაავადებების, რინიტების დაგვიანებული ან არასწორი მკურნალობა იწვევს გართულების სახით ჰაიმორიტს;

4. ბაქტერიამტარებლობა;

5. ცხვირის ღრუს ანატომიური სტრუქტურების თანდაყოლილი დარღვევები.

ჰაიმორიტის გამოვლინება

1. ცხვირში უსიამოვნო შეგრძნება და ტკივილი. ცხვირში და მის ახლო მდებარე უბნებში აღმოცენდება უსიამოვნო შეგრძნება, რომელიც თანდათანობით ძლიერდება. ტკივილი დილით ნაკლებადაა გამოხატული, მაგრამ საღამოსთვის ძლიერდება. ნელ-ნელა ტკივილი კარგავს განსაზღვრულ ადგილმდებარეობას და პაციენტს ეწყება მთლიანი თავის ტკივილი. თუ პროცესი ცალმხრივია, მაშინ ტკივილიც შესაბამისად, ცალ მხარეს აღინიშნება.

2. ცხვირით სუნთქვის გაძნელება. პაციენტს ცხვირი გაჭედილი აქვს, საუბრობს დუდღუნით. როგორც წესი, გაჭედილია ცხვირის ორივე ნახევარი. ცხვირით სუნთქვა მუდმივად გაძნელებული აქვს, თუმცა მცირერიცხოვანი გაუმჯობესებაც შეიძლება აღენიშნებოდეს. შეიძლება ადგილი ჰქონდეს ცხვირის მარჯვენა და მარცხენა ნახევრის მონაცვლეობით გაჭედვას.

3. სურდო. შემთხვევათა უმრავლესობაში ავადმყოფს აღენიშნება, ცხვირიდან ლორწოვანი (გამჭვირვალე) ან ჩირქოვანი (ყვითელი, მწვანე) გამონადენი. ეს სიმპტომი შეიძლება არ არსებობდეს, თუ ცხვირი ძლიერადაა გაჭედილი, რადგან წიაღიდან გამოდენა გაძნელებულია.

4. ტემპერატურის მატება. სხეულის ტემპერატურა იწევს 38 გრადუსამდე და უფრო მაღლა. როგორც წესი, ეს სიმპტომი შეიმჩნევა მწვავე ჰაიმორიტის დროს. ქრონიკული ჰაიმორიტის შემთხვევაში ტემპერატურის მატება იშვიათი მოვლენაა.

5. საერთო სისუსტე. ავადმყოფი მოთენთილია, უარს ამბობს ჭამაზე, ერღვევა ნორმალური ძილი.

ქრონიკული ჰაიმორიტის კლინიკა დამოკიდებულია ანთების ფორმაზე. ყველაზე ხშირი ნიშანია ცხვირიდან ხანგრძლივად ლორწოვანი ან ლორწოვან-ჩირქოვანი გამონადენის არსებობა დაზიანებულ ან ორივე მხარეს, ცხვირით სუნთქვის გაძნელება, პერიოდულად თავის ლოკალური ან დიფუზიური ტკივილი. ორმხრივი პროცესის დროს (განსაკუთრებით პოლიპოზური ფორმის შემთხვევაში) დაქვეითებულია (ანოსმია). ცხვირით სუნთქვის გაძნელება განაპირობებს, პირის სიმშრალეს, შრომის უნარის დაქვეითებას, პერიოდულად ყურების დაგუბებას, შეიძლება სმენის დაქვეითებაც კი განვითარდეს.

რემისიის პერიოდში ავადმყოფის საერთო მდგომარეობა და გუნება-განწყობილება დამაკმაყოფილებელია, პათოლოგიურ მოვლენას ეგუება ორგანიზმი და ავადმყოფი იშვიათად მიმართავს ექიმს.

ქრონიკული ჰაიმორიტის გამწვავების პერიოდში შეიძლება მოიმატოს სხეულის ტემპერატურამ, გაუარესდეს გუნება-განწყობილება, გაძლიერდეს თავის ტკივილი და ცხვირიდან ჩირქოვანი გამონადენის გამოყოფა. დაზიანების მხარეს თვალის ირგვლივ და სახის რბილი ქსოვილების მტკივნეული შეშუპების გაჩენა, გართულებაზე მიუთითებს.

ჰაიმორიტის გართულება

ყველაზე საშიში, რაც ქრონიკულმა ჰაიმორიტმა შეიძლება გამოიწვიოს, არის მენინგიტი (ტვინის გარსის ანთება). გარდა ამისა, არსებობს ისეთი დაავადებების განვითარების საშიშროება, როგორიცაა: მიოკარდიტი, თირკმლების დაზიანება, გენერალიზებული ინფექცია.

მკურნალობა

ზედა ყბის ძვლის წიაღის სხვადასხვა ფორმის ქრონიკული ანთების მკურნალობა მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას.

კატარული, ექსუდაციური (ალერგიული), ჩირქოვანი და ვაზომოტორული ფორმების ქრონიკული ჰაიმორიტის დროს მკურნალობას იწყებენ კონსერვატიული მეთოდებით.

შერეული ფორმების დროს ნაჩვენებია ქირურგიული მკურნალობა.

ორბიტალური და ქალისშიდა გართულებების შემთხვევაში, ნაჩვენებია გადაუდებელი ქირურგიული ჩარევა.

ადგილობრივი მკურნალობის მიზნით ქრონიკული ჰაიმორიტის დროს ინიშნება სისხლძარღვთა შემავიწროებელი პრეპარატები.

ჰაიმორიტის კონსერვატიული მკურნალობის მეთოდებს შორის ყველაზე ეფექტიანი და გავრცელებულია: ზედა ყბის ძვლის წიაღის პუნქცია, მისი ანტისეპტიკური ხსნარით გამორეცხვა, წიაღში ფართო სპექტრის ანტიბიოტიკისა და ანტისეპტიკების (გენტამიცინი, აუგმენტინი და სხვა) შეყვანა.

ჰაიმორიტის კონსერვატიული მკურნალობის ხანგრძლივად გაგრძელება არ არის მიზანშეწონილი, რადგან წიაღის ლორწოვანი გარსი უკვე მიკროფლორის ცვლილებისადმი მყარი ხდება და მედიკამენტები მხოლოდ მცირე დროით აქვეითებენ პათოლოგიური პროცესის აქტიურობას.

აუცილებელად უნდა აღინიშნოს, რომ ქრონიკული ჰაიმორიტის კომპლექური თერაპიის დროს მკურნალობა უნდა იყოს მიმართული მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი ფაქტორების მოშორებისაკენ.

ჰაიმორიტის მკურნალობის ხალხური მეთოდები

1. მშრალი მენთოლის მარცვლები გახსენით ქვაბში ჩასხმულ მდუღარე წყალში. თავი დახარეთ ქვაბზე, გადაიფარეთ პირსახოცი და შეისუნთქეთ ორთქლი (გაიკეთეთ ინჰალაცია). პროცედურა განაგრძეთ მანამ, სანამ ორთქლი ამოვა ქვაბიდან.

2. მოხარშეთ კარტოფილი მრგვალად, გადაასხით წყალი. დახარეთ თავი ქვაბზე, გადაიფარეთ პირსახოცი და ისუნთქეთ ცხელი კარტოფილის ორთქლი.

3. აადუღეთ წყალი ქვაბში, ჩაამატეთ 0, 5 ჩ/კ პროპოლისის სპირტხსნარი და გაიკეთეთ ინჰალაცია.

4. ჰაიმორიტის დროს შეიძლება გამოიყენოთ შემდეგი მალამო: შეურიეთ ერთმანეთში 1 ჩ/კ ყოჩივარდას ძირხვენის წვენი, ხახვის წვენი, თაფლი, კალანჰოეს წვენი, ალოეს წვენი და ვიშნევსკის მალამო. დაასველეთ ამ ნარევში 2 ბამბის ტამპონი (ტამპონის გასაკეთებლად ასანთის ღერზე დახვევით ბამბა), ჩაიდეთ ნესტოებში და გაიჩერეთ 30 წთ. 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ ჰაიმორის ღრუ გაგისუფთავდებათ.

5. გამოირეცხეთ ცხვირის ღრუ თბილი წყლით, რომელსაც დაუმატებთ მცირე რაოდენობის იოდის ხსნარს ან კალიუმის პერგამენტის (ე. წ მარგანცოვკა);

6. ჰაიმორიტის დროს მტკივნეული ადგილის ზემოთ კანი დაიზილეთ ნივრით და შემდეგ შეიზილეთ არყის ხის ნახშირისა და ახალი ოროვანდის ფესვებიუს წვენის ნარევი 20-30 წუთის განმავლობაში. აუცილებელია 2 ასეთი პროცედურის ჩატარება.

7. დილას ან საღამოს დააწვინეთ ავადმყოფი ისე, რომ თავი უკან ჰქონდეს გადახნექილი და ჩააწვეთეთ მას 5-7 წვეთი გამდნარი კარაქი და გააჩერეთ კარგა ხანს ამ მდგომარეობაში.

8. ცხვირის, ყურებისა და თავის ტკივილის შემთხვევაში ჩააწვეთეთ ავადმყოფს ბოლოკის წვენი ან ცხვირში ჩაუდეთ ბოლოკის წვენში დასველებული ტამპონი;

9. 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალში ცალ-ცალკე მოხარშეთ შემდეგი მცენარეები: 15 გ. დაკეპილი კრაზანა, 10 გ. გვირილის ყვავილები და 10 გ. ბერულა. ნაყენები შეაერთეთ და ჩაიწვეთეთ 5-5 წვეთი თითოეულ ნესტოში, დღეში 3-ჯერ. ამ ნარევის გამოყენება შეიძლება 5 წუთიანი ინჰალაციისთვის. მკურნალობის კურსი შეადგენს 10-12 პროცედურას...

10. ყოჩივარდას წვენი შეურიეთ მცენარეულ ზეთში (1:2), ჩაიწვეთეთ თითოეულ ნესტოში 2 წვეთი, დღეში 3-4-ჯერ.

მკურნალი. გე.

ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი პროექტი "მეორე მსოფლიო ომი ეპისტოლარულ ჟანრში"

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტი იწყებს ახალ დოკუმენტურ პროექტს "მეორე მსოფლიო ომი ეპისტოლარულ ჟანრში". 2017 წელს, მასალების საფუძველზე მომზადდება კრებული და შეიქმნება მონაცემთა ბაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილების თანამშრომელმა, ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორმა მაია სიმონიშვილმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა მის საოჯახო არქივში დაცული მეორე მსოფლიო ომის პერიოდის პირადი მიმოწერა, რომელიც მის ბებიას და ბაბუას ეკუთვნოდა. ამ მიმოწერის გაცნობის შემდეგ, მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს ემზარ ჯგერენაიას გაუჩნდა იდეა, ასეთი დოკუმენტები მოგროვდეს და ერთ წიგნად გამოიცეს. მსგავსი გამოცემები დიდი პოპულარობით სარგებლობს დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ვფიქრობთ, ქართული გამოცემაც წარმატებული იქნება, პროექტი ითვალისწინებს ელექტრონული ბაზის შექმნასაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა მიმართავს ყველას, ვის საოჯახო არქივშიც ინახება მეორე მსოფლიო ომის პერიოდის მიმოწერა (პირადი წერილები, მისალოცები და ა. შ.) და სურვილი გაქვთ, გამოქვეყნდეს ერთ წიგნად და გაერთიანდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაში, მოგვმართეთ

გუდიაშვილის 7, ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსი, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.
საკონტაქტო პირები: ემზარ ჯგერენაია 599 19 23 20;
მაია სიმონიშვილი 555 38 57 87, msimonishvili@nplg.gov.ge

ხოლო სამტრედიაში მოგვაწოდეთ გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში, რესპუბლიკის ქუჩა № 6.

ზაფხული ზღვაზე

თაკარა სიცხე და ზღვის სილურჯე,
შორს თოლიები მოსჩანს ბინდებად,
ტალღები ნელა, ზანტად ლივლივებს,
ბუნება ერთხმად გაირინდება.
და სანაპიროს ჭრელი ფერები,
კარვის სიხშირე, სიმრავლე ეშხის,
დგას სიხარული ბედნიერების,
რაც ჩვენს გარშემო ხშირად არ გვესმის.
ზღვა კი მიღელავს სივრცეში მშვიდად
მოცურავეთა მუქი ფერებით,
მომწონს სინაზე, ვით მწვანე ველთა
თავისებური მშვენიერებით.
უკვე ღამდება და ცხელი ბული
ნასიცხარ მინდვრებს მიეზმანება,
ბინდი ჩამოწვა სიო არ იძვრის,
სიბნელე თვალებს მიეტანება.

მაია ცინცაძე

მე თქვენ ახ გიცნობდით ბატონო ზაზა

თუმცა პირველი შეხვედრისთანავე მოვიხიბლე თქვენი შემართებით, ნიჭიერებით, ინტელექტით, ლაკონური, შინაარსიანი საუბრით.

თითოეული ჩემს მიერ მოხმობილი ეპითეტი კიდევ უფრო აღმატებით ხარისხში სრულად შეგეფერებოდათ.

რატომ?

მაშინ, როცა ქვეყანაში ვაკხანალია იყო, საუბარია გასული საუკუნის მიწურულის საქართველოზე, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი პოლიტიკური განვითარების რომელ კურსს აირჩევდა ქვეყანა, თქვენ, თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე კაცმა არა მარტო ქართველებს, მსოფლიოს დაანახეთ, რომ არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები. ინვალიდთა ლიგას, ასოციაციასაც თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი საქართველოში და იმედის ნაპერწკალი ჩაუსახეთ ადამიანებს, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ.

საინტერესო იყო თქვენი ყოველი გამოსვლა მედიით, აქტუალური, საქმიანი და კონკრეტულ შედეგებზე გათვლილი.

ქუთაისში შეგხვდით პირველად და უკანასკნელად რეგიონალურ მედიასთან თქვენი ინიციატივით გამართულ თათბირზე.

***

სრულიად შემთხვევით გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" ნეკროლოგს წავაწყდი ზაზა სიხარულიძის გარდაცვალებას რომ აუწყებდა საზოგადოებას. დამენანეთ სიკვდილისათვის.

ნათელში იყავით ბატონო ზაზა!

ლევან გაგნიძა

ჩემო კვირფასო ლილი მასწავლებელო!

უკიდურესობამდე ჰუმანური ადამიანი, ბრწყინვალე პედაგოგი, განუმეორებელი პიროვნება ბრძანდებოდით. ვამაყობ, რომ თქვენი მოსწავლე ვიყავი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი სული!

პროფესორი პეტრ ანაკიძე

საყვარელო ლილი მამიდა, ჩემო გამზრდელო, უდიდესია შენი როლი ჩემს დაკვალიანებაში, თუ რამ კარგია ჩემში, ყველაფერი შენ მასწავლე. მიყვარხარ და ვლოცულობ შეწზე, საამაყო შვილებისა და შვილიშვილის გამზრდელო!

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული! ფაფუკად გეფინოს მშობლიური მიწა!

შენი ძმისშვილი პეტრე

ეგვიპტის საიდუმლო (ფარაონის წყევლა)

მრავალი სწავლულისა და სპეციალისტის აზრით, ეგვიპტის ყველაზე დიდ პირამიდაში არსებობდა კოსმოსური ენერგიის შემგროვებელი უზარმაზარი ბროლის მაგიური კრისტალი. არის სხვა მრავალი ვერსია პირამიდების საიდუმლოებათა შესახებ: ამბობენ, რომ მათში დაშიფრულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის მეშვეობითაც იმდროინდელი ქურუმები კონტაქტში შედიოდნენ სხვა ცივილიზაციის წარმომადგენლებთან. ისინი იყენებდნენ ამომცნობ ნიშნებს "შფრინავი თეფშების" და სხვა სახით მაგრამ დღეს ვისაუბრებთ ფარაონის წყევლაზე, რომელიც ყველას დაატყდა თავს, ვინც კი ეგვიპტის წმინდა მმართველების სავანეში შეიჭრა.

ერთი ადგილია ეგვიპტეში, რომელიც გაფრთხილებაა წინასწარმეტყველისა, იგი შევიდა მსოფლიო ისტორიაში სახელწოდებით "შეფეთა ხეობა". იგი უსიცოცხლო ადგილია და მდებარეობს ნილოსის დასავლეთით, სადაც ტაძრის ნანგრევები და ქვის სვეტები მდებარეობს. სიცოცხლე აქედან დიდი ხანია გამქრალია, დარჩენილია კოლოსალური მკვდარი ქალაქი, რომლის წიაღშიც დაკრძალულია ფარაონთა მუმიები.

1922 წელს ექვსწლიანი ძიების შემდეგ, როგორც იქნა მიაკვლიეს ხელუხლებელ ფარაონ ტუტანჰამონის განძ-სამარხს. ამ ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ დიდი ბრიტანეთის არქეოლოგები, ეგვიპტელები და სხვა სწავლულები. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ცნობილი კოლექციონერი ლორდ კარნარვონი და არქეოლოგი კარტერი.

მათ თვალწინ გადაიშალა ზღაპრული სანახაობა: ოქროს ტახტის ქანდაკება, ზარდახშები, ველური ცხოველებისა და სარიტუალო სტატუეტები და სხვა. ამას მოჰყვა ფარაონის სამარხი-სარკოფაგი და განძეული.

ამ დამბრმავებელი აღმოჩენით აღფრთოვანებულმა კარტერმა თავიდან ვერ შეამჩნია თხელი თიხის ფირფიტაზე მოკლე იეროგლიფური წარწერა: "საზარელი სიკვდილი ელოდება მას, ვინც დაარღვევს ფარაონების სიმშვიდეს".

მოგვიანებით, როცა მან გაშიფრა ეს წარწერა დამალა, რათა მუშებს ეს გაფრთხილება სერიოზულად არ მიეღოთ. კარტერმა ყურადღება არ მიაქცია არც მეორე მხარეს სერიოზულ კიდევ ერთ გაფრთხილებას: "მე ვარ ის ვინც დარაჯობს წმინდა საუფლოს მე ვარ ის, ვინც დგას ტუტანჰამონის საფლავის სადარაჯოზე".

როგორც ცნობილია, ამის შემდეგ კარტერი ექსტრასენსთან წავიდა. მან უწინასწარმეტყველა, რომ ხედავს შესაძლებლობას, სიკვდილისა, რომელიც ფარაონის წყევლასთან არის დაკავშირებული.

სარკოფაგის გახსნიდან ექვსი დღის შემდეგ კარტერი მოულოდნელად გარდაიცვალა. ექიმებმა ახსნეს, რომ მას შხამიანმა კოღომ უკბინა. რამდენიმე თვის შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით იქ მომუშავე ორი მუშა გარდაიცვალა. სულ ამ ექსპედიციიდან დაიღუპა ოცდაორი ადამიანი. მედიკოსები უძლურნი აღმოჩდნენ მათთვის დიაგნოზიც კი დაესვათ.



შვილები მერაბ და თამარ ლორიები, ძმა არჩილ ლორია, რძლები: ნინო შენგელია, რიმა შანიძე, მარი კაკუშაძე, სიძე ჯიმი ჯიბლაძე, შვილიშვილები: გიორგი, დავითი, ანა, ლევანი, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ მიხეილის ძე ლორია

ზაურ ლორიას გამოსათხოვარი

ზაურ მიხეილის ძე ლორია დაიბადა 1939 წლის 13 იანვარს. ამიერ კავკასიის რკინიგზის სამტრედიის № 14 საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მისი დასრულების შემდეგ კი, მშენებელი ინჟინერი წლების განმავლობაში ემსახურებოდა საყვარელ პროფესიას. არ ეშინოდა სირთულეების, ყოველთვის იდგა იქ, სადაც საქმე მოითხოვდა.

ზაურ ლორია ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც დიდი წვლილი შეიტანა მიწისძვრით დაზარალებული საჩხერისა და რაჭის აღმშენებლობაში. დასაფასებელია მისი საქმიანობა აფხაზეთში, სადაც დიდი რუდუნებითა და პროფესიონალიზმით აკეთებდა საყვარელ საქმეს.

ზაურ ლორია იყო მზრუნველი მამა, თბილი და ტკბილი ბაბუა, მოსიყვარულე მამამთილი, უერთგულესი მეგობარი, უბრალოდ, კეთილშობილი და გულისხმიერი ადამიანი, რომლის სახელი მუდამ ემახსოვრება მათ, ვისაც მცირედი ურთიერთობაც კი ჰქონია მასთან.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ზაურ ლორიას სული.

უახლოესი მეგობრები

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ნინო შენგელიასა და მერაბ ლორიას ბატონი

ზაურის

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი თანაუგრძნობს ნინო შენგელიასა და მერაბ ლორიას მამამთილისა და მამის

ბატონი

ზაურ ლორიას

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის № 12 საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაუგრძნობს ნინო შენგელიასა და მერაბ ლორიას

ზაურ ლორიას

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის № 1 საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაუგრძნობს ნინო შენგელიასა და მერაბ ლორიას მამამთილისა და მამის, ბატონი

ზაურ ლორიას

გარდაცვალების გამო.

საზოგადოება "სამტრედიელი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოება "სამტრედიელის" წევრი, ღვაწლმოსილი ინჟინერი, ბატონი

ზაურ ლორია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თანამედროვე ნოეს კიდობანი

სერბმა არქიტექტორმა ალექსანდრ იოკსიმოვიჩმა და ელინა ნიკოლაევამ წარმოადგინეს მოტივტივე ქალაქის ინოვაციური კონცეფცია, რომელიც ნოეს კიდობნის თანამედროვე ვერსიაა.

კონცეფციის თანახმად, ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევაში მოტივტივე ნაგებობა ადამიანებს და ცხოველებს სიცოცხლის შენარჩუნებაში დაეხმარება. კუნძული-ქალაქი თვითკმარი იქნება _ ადამიანებს შეეძლებათ ბაღებისა და ბოსტნების გაშენება, შინაური ცხოველებისა თუ ფრინველების გამოკვება და მოვლა, თევზის მოშენება, საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა აუცილებელი ნივთის წარმოება.

კონცეფცია "კიდობანში" თითქმის სრულყოფილი ქალაქის შექმნის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს თავისი ინფრასტრუქტურით.

თანამედროვე ნოეს კიდობანი ოკეანის ფსკერზე დრეკადი კაბელებით უნდა იყოს მიმაგრებული და გარშემორტყმული ჰქონდეს 61 მეტრის სიმაღლის კედლები. მოტივტივე მიწაზე გათვალისწინებულია სრულყოფილი ცხოვრებისათვის აუცილებელი ყველა კომპონენტი. მათ შორისაა კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრები, ფერმერული მეურნეობები, ბაღები და ბოსტნები, სპორტული და დასასვენებელი მოედნები, საცურაო ზონა, საავადმყოფო, საოფისე და საცხოვრებელი სივრცე, ცხოველებისა და ფრინველების რეზერვაცია, პორტი და სასტუმროებიც კი.



მოტივაცია: როგორ გავუძლოთ დიეტის სიმკაცრეს?

ყველა, ვისაც გახდომის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება უცდია, საკუთარ თავს უსვამს კითხვას _ როგორ გავუძლო დიეტას? მწირი რაციონი ბევრ პრობლემას აჩენს, უარესდება გუნება-განწყობილება, მიღება უმარილო საკვების კი სიტუაციას უფრო ამძიმებს. რამდენიმე რჩევა მათთვის, ვისაც ჯერ არ მიუგნია პასუხისათვის ამ კითხვაზე

ესთეტიკა და საჭმლის გემო

ყველაზე მკაცრი დიეტაც კი გახდომის მსურველებს პროდუქტების გარკვეული სახეობების ჭამის ნებას რთავს. არავინ გიშლით, მათგან დაბალკალორიული, მაგრამ საკმაოდ გემრიელი საჭმელი მოამზადოთ. მაგალითად: თუ თქვენს რაციონში ნაკლებცხიმიანი თევზის ხორცი ფიგურირებს, შეგიძლიათ ის ფოლგაში შეწვათ და მწვანლისა და ხახვისგან არომატული სოუსი მოამზადოთ. მზა თევზს კი ლიმნის წვენი დაასხათ, რაც მის გემოს ჯადოსნურად შეცვლის. ექსპერიმენტების არ შეგეშინდეთ, მთავარია დიეტის დადგენილ ჩარჩოებს არ გასცდეთ. არც სანელებლები დაივიწყოთ (თუ მათ გამოყენებას თქვენ მიერ შერჩეული დიეტა არ კრძალავს). სხვათა შორის, ბევრ სანელებელს წონის დაკლების საქმეში თავისი წვლილის შეტანაც შეუძლია, განსაკუთრებით კი ეს ჯანჯაფილს (კოჭა), მიხაკს, წითელ, ცხარე წიწაკასა და ვანილს ეხება. საკვებს დამატებული ნატურალური სანელებლები უგემურ კერძს გაკეთილშობილებს, ზოგიერთი მათგანი კი ნივთიერებათა ცვლას დააჩქარებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა კერძის ვიზუალურ მხარეს აქვს _ ჩვეულებრივი, მოხარშული ხორცის ნაჭერიც კი შეიძლება მწვანილით ლამაზად გააფორმოთ, გარნირად სხვადასხვა ფერის ბოსტნეული დაულაგოთ და ასე შექმნათ ლამაზი კერძი, რომელიც სიამოვნებით შეიჭმება.

საკვების მიღების წესები

ალბათ უკვე აღარ გჭირდებათ შეხსენება, რომ ნელა უნდა ჭამოთ და ყოველი ლუკმა გულდასმით დაღეჭოთ. საკვების ნელა მიღება დანაყრების შეგრძნებას შედარებით მალე მოიტანს, რადგან ნერწყვის ფერმენტებით სრულფასოვნად დამუშავებულ პროდუქტს ორგანიზმი სწრაფად ითვისებს. შიმშილის შეგრძნების გაქრობას საჭმლის არომატიც შეუწყობს ხელს. შეიძლება ითქვას, რომ კერძის სუნი მალე დაგანაყრებთ, დეპრესიისგან თავის არიდების შანსსაც მოგცემთ და რაციონის სიმწირესაც დაგავიწყებთ.

"ტკბილი" საკითხი

დეპრესიისა და იმედგაცრუების გრძნობის გაჩენას სწორედ ნახშირწყლების ნაკლებობა იწვევს. ამას ჩვეულებრივი ჩირის მეშვეობით შეგიძლიათ შეებრძოლოთ _ თუ ჭამამდე 15 წუთის წინ ფინიკის, შავი ქლიავის ან ჭერამის ჩირს მიირთმევთ, განწყობაც გაგიუმჯობესდებათ და მადაც შესამჩნევად მოიკლებს. ხილზე, ბოსტნეულზე და ბურღულეულზე (განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ აქ ყავისფერი ბრინჯი) უარის თქმა არ ღირს. თუ დიეტა ხილის უმეტესობას გიკრძალავთ, თამამად შეგიძლიათ ვაშლი ან კივი მიირთვათ, ეს სასარგებლო ხილი ყველაზე მკაცრ დიეტასაც ვერაფერს დააკლებს.

წყლის საკითხი

ყველამ იცის, რომ წყალი ჩვენი სიცოცლის საფუძველია. ამიტომ დიეტის დროს დღიურად 2-2,5 ლიტრი სითხე უნდა მიიღოთ, ხოლო თუ თქვენს ორგანიზმს ჭამის წინ თითო ჭიქა წყლით "გაანებივრებთ", მადა შესამჩნევად შეგიმცირდებათ.

სტიმული და ყურადღების გადატანა

ჩვენი ნებისმიერ ქმედება სტიმულს ითხოვს, გამონაკლისი არც დიეტაა. რა ითამაშებს თქვენთვის სტიმულის როლს, თავად უნდა გადაწყვიტოთ. იფიქრეთ როგორ მოგიხდებათ ტანსაცმელი, რომელიც თქვენეული გაგებით იდეალური ზომისაა ან ფოტოშოფში დამუშავებული თქვენი ფოტო, სადაც თქვენი ფიგურის მოდელებსაც კი შეშურდებათ. გასართობ მანევრად კი ნებისმიერ ჰობს შეგიძლიათ მიმართოთ, იქნება ეს ხელსაქმე, კროსვორდების შევსება თუ ყვავილების გახარება. მთავარია, მოსაწყენ დიეტურ რაციონზე ფიქრს დააღწიოთ თავი. კიდევ ერთი სტიმული შეიძლება იყოს ჯილდოს დაპირება საკუთარი თავისთვის. ყოველი დაკარგული კილოგრამი რაიმე ღირებულით, აღნიშნეთ, მაგალითად, ყულაბაში განსაზღვრული თანხა ჩააგდეთ, რომელსაც დიეტის დასრულების შემდეგ რაიმე დიდი ხნის სასურველი ნივთის ან ღონისძიებისთვის დახარჯავთ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრებისა და ნათესავების მხარდაჭერას. ამის გარეშე წარმატება შეგიძლიათ დაივიწყოთ. როცა სახლში დიეტაზე მყოფი წევრია, ოჯახის წევრებმა შეიძლება თავი შეიკავონ კულინარიული შედევრების შექმნისაგან, მეგობრებმა კი ხმამაღლა არ ისაუბრონ თქვენი მცდელობების ამაოებაზე.

აი, მარტივი რეკომენდაციები, რაც ნებისმიერი დიეტის დაცვაში დაგეხმარებათ!

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამხრეთის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა



აბიტურიენტის დღიურიდან

"წერა-კითხვა ვისწავლე,
აი, უკვე დიდი ვარ,
ამიტომაც ეროვნულ
გამოცდებზე მივდივარ".
ირგვლივაა ქოთქოთი:
"მოსპეთ გაწამაწია,
"უნარების" მომგონმა
სახლში ვერ წააწია".
კუჭის "გადასარჩენად"
მიცდის სამზარეულო,
გულის შემატკივარად _
მთელი საგვარეულო.
ტესტის წერას დავიწყებ,
თავისა მაქვს ტკივილი,
ფანჯრებიდან მომესმის
დედაჩემის კივილი.
ჩემ ნაცვლად ის წუწუნებს,
მოთქვამს, ვეღარ მშვიდდება...
ძილი გადაავიწყდა,
მგონი აღარც შივდება.
ვნების ღელვა ჩაივლის,
არვის გაუკვირდება,
მე კი გადავრჩები და
დედას _ გაუჭირდება!

ვულოცავთ!

ბატონ გოგიტა კაკაბაძეს!
პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა და წარმატებები დაგებედოთ.
"სამტრედიის მაცნე"

ოჯახის ახლობელს, გოგიტა კაკაბაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ საყვარელ ოჯახთან ერთად.
რევაზ კანდელაკი ოჯახით

ქალბატონ გულო ბოხუას!

ჩვენო მშვენიერო, ლამაზო ქალბატონო, სკოლამდელების შესანიშნავო აღმზრდელ-მასწავლებელო, ბედნიერია ის სკოლა, სადაც თქვენს ხელში გავლილი ბავშვები გადანაწილდებიან და შეაღებენ სკოლის კარებს.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს თქვენს ოჯახთან და დედისერთა გაგასთან ერთად. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი საყვარელი ადამიანების მფარველი.

უახლოესი მეგობრები

ლიკა მურადის ასულ გელეიშვილს!
დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ლიკა. სიხარული, უფლის წყალობა გმეგზურობდეს. მალე შენი სტუდენტობით გავიხარებთ. ღმერთმა გაგაძლიეროს.
ლევანი ნათელია

ჯონი შოთას ძე ვაშაკიძეს!
დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენო ჯონი. იხარე და იდღეგრძელე, უფალმა დაგლოცოს, გაგახაროს, გაგაძლიეროს.
ლევან გაბეჩავა

გოგა ვაშაკიძეს!
გილოცავთ დაბადების დღეს! საუკეთესო სურვილების ასრულებას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს გისურვებთ. წარმატებები დაგებედოს!
"სამტრედიის მაცნე"

ლუკა ტრაკაიძეს!
ჩვენო კარგო ბიჭუნავ, ლამაზო და ჭკვიანო, ვაჟკაცური თვისებებით დაჯილდოვებულო, სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ უღრუბლო ბავშვობას და წარმატებულ მომავალს. უფალი იყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი.
"სამტრედიის მაცნე"

ნანუკა ქავთარაძეს!
ჩვენო პატარა კოლეგავ, ნორჩო ჟურნალისტო, სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, 15 წლის შესრულებას. გისურვებთ მომავალშიც გაგყოლოდეს კალმის და მოყვასის სიყვარული. შენი წარმატებული ჟურნალისტობით "სამტრედიის მაცნეს" ბევრჯერ ეამაყოს.
"სამტრედიის მაცნე"